ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



გვ.5

## გურჯაანში ეკლესია უკვე მეოთხედ გაქურდეს

## არასრულწლოვანი შვილების გაუპატიურების ბრალდებით მამა დააკავეს



გვ.5

სამშაბათი, 14 დეკემბერი, 2021 №236 (8765) ფასი: 60 თეთრი

# „ოცნება“ შერიგებაზე არ წავა“




გვ.3

## თორნიკე შარაშენიძე: „კობახიძე უფრო ერთგულია ივანიშვილის, ვიდრე კალაძე“



„ნამდვილად ვიცი, რომ ტიკარაძეს არ უნდოდა მინისტრობა, კიდევ კარგა ხანი გაძლო“



## „სამივე პრეზიდენტმა უნდა შეძლოს წვრილმანებზე ამაღლება“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „დღეს ჩვენი სამი პრეზიდენტის შეხვედრის უფრო მძერა, ვიდრე თავის დროზე სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრის“

## „პრეზიდენტის მიერ სააკაშვილის შეწყალება ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება“

სალომე სამადაშვილი: „ოცნების“ აგრესიული პოლიტიკა არ მაფიქრებინებს, რომ შერიგებაზე რაიმე ხედვა აქვთ“



გვ.2



გვ.4

## საქართველოს საგარეო უწყებამ სოხუმის გეგმა ჩაშალა?

## „სააკაშვილს ექსპერტიზა უცხოელმა ექიმებმა უნდა ჩაუტარონ“



გვ.4

მაია ნიკოლეიშვილი: „დღეს საოცარი ძალადობა ხორციელდება ჯანსაღი ადამიანების ფსიქიკაზე“

## ირაკლი ღარიბაშვილი „დელტაში“ ახალი სადაზვერვო მანქანის პრეზენტაციას დაესწრო



გვ.5

ISSN 1987-9385

**4** ნიკა მელია: „სანამ სააკაშვილი ტყვეობაშია, შერიგებაზე საუბარი აზრს მოკლებულია“

**2** პრემიერ-მინისტრი ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა

**5** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ავარიას მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა

**6** კადიროვი სოკუროვის წინააღმდეგ

# „პრეზიდენტის მიერ სააკაშვილის შეწყალება ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება“

## სალომე სამადაშვილი: „ოცნების“ აგრესიული პოლიტიკა არ მაფიქრებინებს, რომ შერიგებაზე რაიმე ხედვა აქვთ“

იაგო ნაცვლიშვილი

იქნება თუ არა შერიგება? რა ნაბიჯებს გადადგამს პრეზიდენტი? შედგება თუ არა 3 პრეზიდენტის შეხვედრა? ისევ რჩება თუ არა შეწყალების მოლოდინი და რა ნაწილში და რა ფორმით ჩაერთვება ეროვნული შერიგების პროცესში ეკლესია? — ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო ფრაქცია „ლელო — პარტნიორობა საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი სალომე სამადაშვილი საუბრობს.



*— შერიგების თემაზე ჯერ პრეზიდენტის ინიციატივა მოვისმინეთ, შემდეგ უკვე ეკლესიაც გამოვიდა გარკვეული ინიციატივით, რომ მისი ჩართვის გარეშე ვერ მოხდება ეს. როგორ უყურებთ ამ პროცესს?*

— მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც იქნება გადადგმული იმისთვის, რომ საზოგადოებას დახმარება გაუწიონ, რომ შემცირდეს პოლარიზაცია, არის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. მე არ ვიცი, სხვადასხვა ინიციატივებმა როგორი ფორმა შეიძლება მიიღოს. ამის თქმა ახლა გამიჭირდება, რადგან ამას კონსულტაციები სჭირდება.

მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის მხრიდან შეწყალების ინსტრუმენტის გამოყენება ალბათ ყველაზე ქმედითი ნაბიჯი იქნება იმის დემონსტრაციისთვის, რომ მართლაც მხარს ვუჭერთ შერიგების პროცესის დაწყებას ქვეყანაში.

*— ელოდებით კონკრეტულ ნაბიჯებს სალომე ზურაბიშვილისგან თუ გაქვთ მოლოდინი, რომ განცხადება განცხადებად დარჩება?*

— საერთაშორისო უმნიშვნელოვანესი ფორუმიდან გაჟღერებული ინიციატივა, წესით, მხოლოდ განცხადებად არ უნდა დარჩეს. შესაბამისად, მინდა იმედი ვიქონიო, რომ პრეზიდენტს აქვს კონკრეტული ხედვა, როგორ შეიძლება, რომ ინიციატივას მოყვეს შესაბამისი გაგრძელება.

*— მაგრამ მისცემენ პოლიტიკური აქტორები ამის საშუალებას? ზურაბიშვილი იყო, რომელიც გაეროს ტრიბუნიდან საუბრობდა პროპორციულ არჩევნებზე, მაგრამ ვნახეთ, მაშინ როგორ ჩააგდო „ოცნებამ“ ეს საკონსტიტუციო ცვლილება.*

— იცით რა? „ოცნების“ პოზიციები, რასაც ისინი დღეს აფიქსირებენ, არ მაძლევს იმის თქმის საშუალებას, მოლოდინი მქონდეს, რომ აქვთ ხედვა ამ მიმართულებით. მათი მხრიდან დღეს ძალიან აგრესიული რიტორიკაა, მაგრამ მე არ მომისმენია ვინმეს განცხადება ოპოზიციიდან, რომ ამისთვის მზადყოფნა არ არის.

> „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებსაც ალბათ უნდა ესმოდეთ, რომ შერიგება ორმხრივი პროცესია“

*— ეკლესიის ინიციატივა ალბათ კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, ეს კიდევ ერთი დემონსტრირება ხომ არ არის იმის, რომ ეკლესია ერევა პოლიტიკაში, ვინაიდან ეკლესიის და სახელმწიფოს ფუნქციები კონსტიტუციის თანახმად გამიჯნულია და აქაც აღრევა ხომ არ ხდება?*

— თუ საუბარია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით, ამაში თავისი სიტყვა ეკლესიას ალბათ ეთქმის, თუმცა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს. იქიდან გამომდინარე, რომ ეკლესიის აზრს აქვს ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მათი უფლებაა გამოიყენონ საკუთარი ავტორიტეტი ქვეყნის ინტერესებისთვის. ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ. პოლიტიკურ პროცესს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ის პოლიტიკურ პროცესად უნდა დარჩეს პოლიტიკურ აქტორებს შორის.

*— ანუ, ორი ნაწილისგან შედგება?*

— დიახ, მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაც ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ კი, პოლიტიკური პროცესია. საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ეკლესიას აქვს გავლენა და ამის იგნორირება და თქმა, რომ ეს ასე არ არის, ეს არის რეალობაზე უარის თქმა. შესაბამისად, ეკლესიის წარმომადგენლების მხრიდან საკუთარი აზრის დაფიქსირებას ექნება ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მაგრამ პოლიტიკური პროცესი, ცხადია, გამიჯნული უნდა იყოს.

*— პრეზიდენტმა გამოხატა პოზიცია თავისი ინიციატივით და მას მეოთხე პრეზიდენტმა შეახვედრა სხვა იდეა, რასაც აქამდეც ამბობდა, რომ შეხვდეს 3 პრეზიდენტი გორის ჰოსპიტალში. წავა სალომე ზურაბიშვილი ამაზე?*

— იმ უპრეცედენტო ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც თანამედროვე ისტორიაში პირველად ხდება ის, რომ ქვეყნის პირველი მეთაური დღეს საპყრობილეშია, მე ვფიქრობ, რომ მსგავსი შეხვედრის ორგანიზება შეიძლება საინტერესო იყოს. არ ვიცი, როგორ გამოეხმაურება სალომე ზურაბიშვილი ამ ინიციატივას, მაგრამ თავისთავად ის, რომ ასეთ ისტორიულ მოცემულობაში მსგავსი შეხვედრის ორგანიზება მოხდეს, ნამდვილად საინტერესო იქნებოდა.

*— თავად თუ წავა პრეზიდენტი რაღაც კომპრომისზე, უფრო მეტი სანდოობა ხომ ექნება მის ინიციატივას?*

— ჩემი პოზიცია ამაზე ცნობილია, კონკრეტული ქმედებები სალომე ზურაბიშვილის მხრიდან ძალიან სწორი იქნებოდა მისი ინიციატივის განსამტკიცებლად. მათ შორის, შეხვედრაც შეიძლება იყოს, ასევე შეიძლება იყოს შეწყალების ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობის განხილვა. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტმა გააჩინა განცდა, რომ მას აქვს ხედვა, როგორ უნდა წავიდეს ეს პროცესი წინ. შესაბამისად, საზოგადოება მისგან ალბათ ელოდება რაღაც კონკრეტულ ნაბიჯებს.

*— ანუ, შეწყალების მოლოდინი ისევ რჩება მისი ცნობილი ფრაზის — „არა და არასდროს“ მიუხედავად?*

— პოზიციების გადახედვა შესაძლებელი ხდება იქიდან გამომდინარე, რას მოითხოვს ვითარება ქვეყანაში. ამიტომ, მე იმედი მინდა ვიქონიო, რომ თუ ქალბატონი სალომე საჭიროდ ჩათვლის, გადახედოს თავის პოზიციას, ის ამ შესაძლებლობას უშვებს, მაგრამ მისგან რაიმე კონკრეტული არ მომისმენია, ამიტომ არ ვიცი, რა პოზიცია აქვს მას.

*— გიორგი მარგველაშვილის გარკვეული განცხადებები არ მოეწონათ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებს. განსხვავებული აზრის მიუღებლობა თქვენ პირადად გაქვთ საკუთარ თავზე გამოცდილი. რას ნიშნავს ეს და რატომ უნდა ხდებოდეს საჭირო პარტიის ლიდერების მიმართვა, რომ პატივი სცენ განსხვავებულ აზრს?*

— იცით რა? „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებსაც ალბათ უნდა ესმოდეთ, რომ შერიგება ორმხრივი პროცესია. როდესაც ურთიერთგამომრიცხავი ხედვა აქვთ ადამიანებს, იქ რთულია შერიგება. „ნაცმოძრაობის“ მომხრეებს არ შეიძლება ჰქონდეთ მოლოდინი, რომ ხვალ შეიცვლება ვითარება და ქართველი ხალხის 100% ისე შეაფასებს წარსულს, როგორც ისინი აფასებენ. ანუ, განსხვავებული შეფასებები საზოგადოებაში დარჩება. აქ არ არის საუბარი კონკრეტული პოლიტიკოსების ხედვაზე, არამედ საუბარია იმაზე, რომ განსხვავებული შეფასებები არსებობს წარსულზე, მაგრამ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ამის მიუხედავად, შეგვიძლია თანაარსებობა, როგორც საზოგადოებას. ეს არის მნიშვნელოვანი.

მათ შორის შარლ მიშელის დოკუმენტზე მუშაობის დროს დავინახეთ ის, რომ ერთი მხრივ, საბოლოო ჯამში, არც „ოცნება“ აღმოჩნდა ამ შეთანხმებისთვის მზად, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილება, რომ ხელი არ მოეწერა ამ შეთანხმებაზე, როდესაც ის შედგა, ესეც რადიკალური პოზიცია, ანუ ესეც იყო გარკვეულწილად უარი შეთანხმებაზე. ამიტომ, ყველას უნდა ესმოდეს, რომ საბოლოო ჯამში, თუ ჩვენ ეროვნულ თანხმობაზე ვსაუბრობთ, რაღაცა უნდა დავთმოთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთი რადიკალური ნაწილი გადაეწყობა მეორე პოზიციაზე, არამედ ეს ნიშნავს იმას, რომ შევთანხმდეთ თანაარსებობაზე. განსხვავებული აზრის მიმღებლობა, შესაბამისად, ყველასთვის უნდა იყოს მისაღები.

*— ყველა მხარემ რაღაცა უნდა დათმოს?*

— დიახ, კონსენსუსი ამას ნიშნავს და ეს ნიშნავს ნულოვანი ჯამის აზროვნებიდან გამოსვლას. თუ „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველს ექნება დაკვეთა, რომ ყველა გამოვიდეს და ისევე შეაფასოს „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდი, როგორც ისინი აფასებენ, ეს არ არის რეალისტური. მით უმეტეს, როდესაც თავად პარტიის ლიდერები და მათ შორის, მიხეილ სააკაშვილი, ხშირად საუბრობენ შეცდომებსა და მძიმე შეცდომებზე, რომელიც მაშინ იყო დაშვებული. ამიტომ, რადიკალური პოზიციები, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის, ვერ გამოგვიყვანს ამ ჩიხიდან, რომელშიც ქვეყანაა შესული.

# პრემიერ-მინისტრი ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს როზარია პუგლისს შეხვდა, რომელიც საქართველოში თავის საქმიანობას ასრულებს.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ნატოს სამეკავშირეო ოფისის მნიშვნელოვან წვლილზე, საქართველო-ნატოს დაახლოების პროცესში.

აღინიშნა გლობალური პანდემიის მიუხედავად, ნატო-საქართველოს აქტიური თანამშრომლობა 2021 წელს, მათ შორის, ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტის განხორციელების კუთხით.

საუბრისას განიხილეს საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ასევე დემოკრატიზაციისა და თავდაცვის კუთხით განხორციელებული რეფორმები. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ნატოში გაწევრიანება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. ასევე აღინიშნა, რომ ნატოს 2022 წლის სამიტი კარგი შესაძლებლობა იქნება საქართველოს პროგრესის აღიარებისთვის.

ყურადღება დაეთმო შავი ზღვის უსაფრთხოებას, ამ მიმართულებით არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და რეგიონის როლს ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემაში.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ავღანეთში მიმდინარე ნატოს მისიაში და ხაზი გაესვა საქართველოს მნიშვნელოვან როლს ავღანეთიდან ევაკუაციის ძალისხმევაში.

პრემიერ-მინისტრმა როზარია პუგლისს მადლობა გადაუხადა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით გაწეული ძალისხმევისა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ურყევი მხარდაჭერისთვის და წარმატებები უსურვა.

# მეუფე იაკობი: „გარჩევების დრო არ არის, ეკლესიაში შევიკრიბოთ“

ბოდბელი მიტროპოლიტი, მეუფე იაკობი ქადაგებისას აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში ყველა შერიგებაზე საუბრობს და ეს ფაქტი მას აიმედებს.

მეუფემ ქადაგებაში ხაზი გაუსვა საზოგადოების შერიგების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ ახლა „გარჩევების დრო არ არის“.

„ვფიქრობ, კორონას კი ადვილად დავამარცხებთ და მათ შორის, ქართველები, მაგრამ რა ჭირიც ქვეყანაში გვაქვს, ეს ძალიან რთული დასამარცხებელი იქნება. ჩვენ ერთმანეთს დავამარცხებთ, თუ არ გავიაზრეთ, წინ რა გველოდება. ერთი რაღაც იმედს მაძლევს, რამდენიმე წელია შერიგებაზე ვლაპარაკობ, შენდობას ვითხოვ — ცოტა მძიმედ ვიტყვი ახლა — სხვებივით არ ვამბობ ხოლმე, როგორც სადღეგრძელოს, ვიცი, რა უნდა გაკეთდეს, რომ ერი გავერთიანდეთ, ასე გაყოფილი აღარ ვიყოთ, ცოტანი ვართ და ყველა მხარეს ყველა ჩვენია. განა არ შემიძლია, მართლის და მტყუანის გარჩევა? მაგრამ დღეს ის დროა, მხარეს ველარ ირჩევ, ჩვენ შეიძლება ერთი მხარე ავირჩიოთ, ეს არის საქართველო. საქართველო ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი სამშობლოა, ჩვენი სახელმწიფოა და სხვა სამშობლო ჩვენ, ქართველებს და აქ მცხოვრებლებს, არ გაგვაჩნია.

ცოტა ხნის წინ, 4-ში, როცა დღესასწაული იყო, მაშინაც ვთქვი შერიგებაზე და ვცდილობ, რომ მხარედ არ გამოვჩნდე, თორემ ძალიან კარგად ვიცი, სად არის სიმართლე, სად არის ჭეშმარიტება, მაგრამ დგება დრო, „ზოგჯერ თქმა ჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, შეიძლება ასეთ სიტუაციაში ვიყოთ, დღეს მთავარია, რომ ქართველებმა ერთმანეთთან მისასვლელი გზები ვიპოვოთ. თუ არა ეკლესიაში, შანსი არ არის ჩვენი შერიგების. ეკლესიაში შერიგება იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთის ღირსებას გავუფრთხილდებით, დღეს არ ვუფრთხილდებით ერთმანეთის ღირსებას. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, მე ვიქნები, სხვა იქნება, საზოგადოების სხვა ნაწილი იქნება, თუ ხელისუფლებები, ის შეცდომები და დანაშაულები, რაც ჩვენ ერთმანეთის მიმართ მიგვიძღვის, დაწყებული — თავისუფლებას და დამოუკიდებლობას როგორ მოვეპყარით, დაიწყეს ძმათა მკვლელი ომი, დავზარალდით ქვეყანა, შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გადაგვივიდა საკითხები და კარგად ვხედავთ, დღეს როგორ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ იმედით ვარ აღსავსე, რადგან ამ ბოლო პერიოდში ყველა ლაპარაკობდა შერიგებაზე. ვფიქრობ, ვნახავთ გზას, რომ შევიკრიბოთ ეკლესიაში, ძალიან ბევრისთვის გვაქვს მძიმე სათქმელი, იმათაც თუ რამე აქვთ სათქმელი, გვითხრან ჩვენც, მაგრამ სჯობს, ეკლესიაში მოხდეს, რადგან ეკლესიაში ერთმანეთის ღირსებას გავუფრთხილდებით. იცით, მე როგორი ვარ ხოლმე გამონათქვამებში, რამდენი ხანია, ჩუმად ვარ, არ მინდა ისეთი რამე გავაკეთო, რომ რომელიმე მხარეს აღმოვჩნდე. შერიგებას მოახდენს ის ხალხი, რომელიც მხარე არ იქნება და ვინც საქართველოს მხარეს იქნება. თუ მხარეს დადექი, ეპისკოპოსი მთავრობის მხარეს თუ დავდექი, ან ვილაცების მხარეს დავდექი, არ გამოვა ასე, რადგან ვხედავ, რომ ჩვენ ერს ერთად ყოფნა უნდა. ქუჩაში სირბილი კალიების შემოსევა ხომ არ არის? „სარანჩებივით“ დავჭამოთ ერთმანეთი, ისინი მოსავალს ჭამენ, ჩვენ ერთმანეთს ვჭამთ, რაღაც ერთმანეთთან მისასვლელი გზები უნდა ვნახოთ“ — განაცხადა იაკობმა.

მან სინოდის წევრებს მოუწოდა, მხარეები არ გახდნენ და შერიგება „სადღეგრძელოდ ნათქვამი“ არ დარჩეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნება“ შერიგებაზე არ წავა“

## თორნიკე შარაშენიძე: „კობახიძე უფრო ერთგულია ივანიშვილის, ვიდრე კალაძე“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, მიხეილ სააკაშვილი ახალ-ახალი ინიციატივებით გამოდის. ახლა ინკლუზიური პროცესის დაწყება სურს, სამი პრეზიდენტის შეხვედრის იდეა წამოაყენა, თუმცა ბევრი ფიქრობს, რომ ეს არ მოხერხდება. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ მათი შეხვედრა, ან რაზე უნდა ისაუბრონ?***

– მარტივად გეტყვით, არ მოხდება ეგ შეხვედრა და დამთავრდა. არც მეოთხე პრეზიდენტი წავა და არც მეხუთე და ამით დამთავრდება ყველაფერი. არავინ არ მივა გორში. არც პირველია ცოცხალი და არც მეორე, შესაბამისად, არაფერი გამოვა აქედან.

***– ეს რისი მცდელობა იყო სააკაშვილის მხრიდან?***

– ეს პროგრამა გეა, ასე ვთქვათ. პროგრამა ა არ გამოვიდა, როცა დაიჭირეს ჩაიშალა, პროგრამა ბე იყო ციხეში ღირსეულად ყოფნა და ამასობაში გარეთ პროტესტის აგორება. ციხეში საკმაოდ დიდხანს იყო ღირსეულად, მაგრამ ამასობაში ციხეში პროტესტი ვერ აგორდა. ახლა პროგრამა გე არის ეს, რომ მოდით, ვისაუბროთ და შევრიგდეთ. კი, სიტყვა შერიგება ბევრზე კარგად მოქმედებს, მაგრამ მარტივია ყველაფერი, „ოცნება“ ამაზე არ წავა, პროტესტი არ აგორდება და, შესაბამისად, ეს პროგრამა გეც ჩაიშლება. გეგმა დე რა არის, სიმართლე გითხრათ, მე არ ვიცი, შევხედოთ.

***– ნაციონალები აცხადებენ, რომ შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდანო, მაგრამ მეორე მხრივ, არაფერს ნანობენ და არც ბოდიშს უხდიან საზოგადოებასო და რანაირად?***

– აი ამაშია საქმე. მარტო ლაპარაკში კი არა, საქციელშიც ეტყობათ, რომ არაფერს ნანობენ. მათმა დიდმა ნაწილმა დღემდე ვერ გაიგო, რატომ წააგეს არჩევნები 2012 წელს. აი ეს არის მათი მთავარი პრობლემა. მარტო მიშამ კი არა, პარტიის უმრავლესობამ ვერ გაიგო, რაშია პრობლემა. შეცდომას თუ ვერ გაიაზრებ, იმ შეცდომას როგორ გამოასწორებ?! ისევ ერთი და იგივე რიტორიკა გვესმის მათგან, რომ ჩვენ წავაგეთ იმიტომ, რომ სპეცოპერაცია ჩატარდა, ეს იყო რუსული სცენარი, ეს პუტინის მონები და ასე შემდეგ. ამიტომ მაგათ რომ ჰგონიათ, არ არის ეგრე მარტივად საქმე.

***– ძალიან ცუდ სიტუაციაშია დღეს ოპოზიციაო ვისმენთ შეფასებებს. რატომ ვერ ახერხებენ ხალხის გულის მოგებას?***

– საოცარი იცით რა არის? რამდენი სისულელე ჩაიდინა ამ ხელისუფლებამ, რამდენი შანსი მისცა ოპოზიციას, მაგრამ მერე ყველაფერი ისევ „ოცნების“ სასარგებლოდ ლაგდება და ოპოზიცია ისევ აგებს. მე მგონი, მთავარი პრობლემა აქ არის ის, რომ ოპოზიცია არის სულ იმის იმედზე, რომ ხალხი გამოვა ქუჩაში, ხალხი არ გამოდის ქუჩაში და ყველაფერი ამით მთავრდება. არ ამართლებს ეს სტრატეგია და ხომ უნდა მიხვდნენ. ხალხი ერთხელ გამოვიდა გავრილოვის დროს და ეს იყო სპონტანური გამოსვლა. მაშინ თვითონ გამოვიდა ხალხი. ოპოზიცია არ უნდა ხალხს, ოპოზიციის ლიდერები რომ გამოჩნდნენ, დავინახეთ, რომ აქციაზე შემცირდა ხალხი.

***– ნინო ბურჯანაძე უსვამს კითხვას საზოგადოებას, რით ვერ მოგაწონეთ თავი, დიმიტრი გელოვანს მოითხოვთ და თქვენ ხართ დიმიტრი გელოვანებიო. ზედმეტად პრეტენზიული ტონი ხომ არ აქვთ?***

– არ შეიძლება ასე, რას ნიშნავს ასეთი პრეტენზიული ტონი? ხალხი არ მოსწონთ? ხალხი ირჩევთ მათ, ისინი კი არ ირჩევენ ხალხს. ხშირად მესმის ხოლმე მსგავსი პრეტენზიები ხალხის მისამართით. მოყოლებული 90-იანი წლებიდან, რომ თბილისმა ვერ დააფასა ზვიად გამსახურდია, თბილისელები ცუდები არიან და ასე შემდეგ. ხალხი არ იცვლება, ხალხი ცვლის ხელისუფლებას.

***– სააკაშვილის პირადი ექიმი ალაპარაკდა მის საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებით. როგორ განვითარდება პროცესები, გაიყვანენ მას ქვეყნიდან? პროცესების როგორ განვითარებას ელით?***

– რეალურ და სასურველ სცენარად მიმაჩნია განაჩენის დადგომა და შემდეგ მისი უკრაინაში ექსტრადიცია. ეს იქნება ყველაზე კარგი, მაგრამ სანამ განაჩენს არ გამოუტანენ, არსად არ გაუშვებენ. ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ ახლა ვიღაც ექიმი გამოვა და მის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე მიშას პოლონეთში გაუშვებენ სამკურნალოდ. არც ისეთი სიტუაცია აქვს მიშას, რომ ვერ მოხერხდეს მისი აქ მკურნალობა. ნამდვილად არ მგონია, რომ ეგრე მძიმედ იყოს.

***– ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ. ჯანდაცვის მინისტრი ტოვებს თანამდებობას, ასევე საუბარია კობახიძესა და კალაძეს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. რა მოხდა „ოცნების“ შიგნით? გადახალისდება მინისტრთა კაბინეტი?***

– ეს ყველაფერი ერთ კაცზეა დამოკიდებული, ხომ ვიცით ყველამ არა?! რაც შეეხება



**„ნამდვილად ვიცი, რომ ტიკარაძეს არ უნდოდა მინისტრობა, კიდევ კარგა ხანი გაძლო“**

ტიკარაძის წასვლას, ტიკარაძეს არასოდეს არ უხაროდა იქ მუშაობა. მე ასე ვიცი ყოველ შემთხვევაში. შესაბამისად, შესაძლოა ამ ყველაფერს მარტივი ახსნა ჰქონდეს. იყო თავისთვის, მშვიდად ცხოვრობდა, რაც ეს ქალი ლანძღეს ბოლო ორი წელიწადი, კიდევ კარგად გაძლო. არ უნდოდა მას მინისტრობა, ნამდვილად ვიცი. კიდევ კარგა ხანი გაუძლო. ძალიან ბინძური კამპანია იყო მის წინააღმდეგ. თანაც ისეთები იყვნენ ჩართული ამ ბინძურ კამპანიაში, ქალების უფლებებს რომ იცავს. მიკვირს ხოლმე ასეთი რაღაცები. ნებისმიერ ქალზე ცუდი რომ დაგვცდეს მე და თქვენ, ჩაგვდებენ მიწაში და თვითონ კი გაასწორეს მიწასთან ეს ქალი.

***– სხვა მინისტრებს რაც შეეხება?***

– რა მნიშვნელობა აქვს, წავა თუ დარჩება პრემიერი. მე ამაში ვერ ვხედავ ხოლმე აზრს. მიკვირს ხოლმე, ოპოზიციური ტელევიზიები ყიჟინას რომ დასცემენ, ღარიბაშვილს უშვებენო. მერე თუ უშვებენ? ბიძინა რჩება, ფაქტია. ამიტომ არ მესმის ეს ალტკინება. თუ გადაახალისებს ივანიშვილი გუნდს, გაუშვებს პრემიერს და ღარიბაშვილს აკიდებს ნეგატივს. ამას რა ჯობია ბიძინა ივანიშვილისთვის. მოიყვანს ვინმე ნაკლებად ცნობილს და სანამ ახალი ნეგატივი დაგროვდება, დროც გავა. მერე, შესაძლოა, ღარიბაშვილი მესამედაც დააბრუნოს, აი ამაშია საქმე. მთავარი ვინც არის, ის არსად არ მიდის.

***– კალაძე-კობახიძის დაპირისპირებაზე რას იტყვით?***

– თუ კალაძეს და კობახიძეს შორის მართლაც მოხდა დაპირისპირება, მაშინ ამას ერთი ახსნა აქვს, კობახიძე უფრო ერთგულია ივანიშვილის და კალაძეს რაღაც გადახრა შეამჩნია. ახლა ამის გამო ისჯება, რადგან, როგორ შეიძლება ვინმე არ გადაიხაროს მმართველისგან, „ბრძენი კაცისგან“, როგორც ღარიბაშვილი უწოდებს. უგლურიზმი – იყო ასეთი ტერმინი, არ შეიძლება გადახრა მთავარი ხაზიდან. უგლურისტი შეიძლება გახდა კალაძე და ამიტომაც არის დაპირისპირებული კობახიძესთან. კობახიძე არ იხრება მთავარი ხაზიდან, ის ბიძინას ერთგულია.

***– ანუ ივანიშვილი კვლავ ერთპიროვნული მმართველია? დღემდე ის მართავს ხელისუფლებას?***

– ასეა. ოღონდ ის მართვაში არ ერევა, დანიშნავს ნდობით აღჭურვილ პირს, როგორც კომპანიის მმართველი რომ ნიშნავს დირექტორად მის ნდობით აღჭურვილ პირს, თავად კომპანიას ფლობს და კომპანია მის გარეშე მუშაობს.

***– ასე მივალთ 2024 წლამდე და არაფერი შეიცვლება?***

– ოპოზიცია თუ არ გაიაზრებს ფუნდამენტურ თემას, ასე გაგრძელდება ძალიან დიდხანს. მერე გამოვლენ და დააბრალებენ ისევ ხალხს, ხალხს გამოლანძღავენ, ხალხი რატომ არ გამოდის ქუჩაშიო. მერე დაიწყება ლოზუნგები – მიბაძეთ ყველამ წალენჯიხას და ასე შემდეგ. რა არის ეს? აქედან არაფერი არ გამოვა! გვემუქრებოდნენ, წალენჯიხაში წავალთ ყველანიო. წავიდნენ, ვინ აკავებთ? რატომ არ მიდიან?! იფიქრეს, თბილისში უფრო კომფორტულია ცხოვრებაო და გადაიფიქრეს. რამდენჯერ უნდა სცადონ ერთი და იგივე სტრატეგია და ეგონოთ, რომ ხალხი გამოვა ქუჩაში. არ გამოდის ხალხი ქუჩაში, არა! ხალხს არეულობა და რევოლუცია არ უნდა. რა არის ამაში გაუგებარი?! ხალხს ურჩევნია ასე იყოს, ვიდრე იყოს არეულობა და გაურკვევლობა. აღარ უნდათ 90-იანებში დაბრუნება. ვარდების რევოლუციის დროს გაგვიმართლა და უსისხლოდ გამოვძვერით, მაგრამ აღარ გამოდის ახლა ეს ვარდების რევოლუცია. მაშინ ხელისუფლება იყო მოფამფალებული და ახლა არ არის ასე მოფამფალებული, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. კი გაიძახიან ჩამოშლილია, ჩამოშლილიო, თუ ჩამოშლილია, კი ბატონო, მიდი და ჩამოხსენი! ამიტომაც რეალობას თვალი უნდა გაუსწორონ, მიიღონ ეს და შეცვალონ სტრატეგია.

# „სამივე პრეზიდენტმა უნდა შეძლოს წვრილმანებზე ამაღლება“

## მურმან დუმბაძე: „დღეს ჩვენი სამი პრეზიდენტის შეხვედრის უფრო მჯერა, ვიდრე თავის დროზე სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრის“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, შერიგების იდეასთან დაკავშირებით როგორია თქვენი პოზიცია? მაგალითად, ელენე ხოშტარია ამბობს, რომ ის ცდილობს პრეზიდენტ ზურაბიშვილის იდეას ჩაეჭიდოს, თუმცა ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიციებს შორის ძალიან დიდი პოლიტიკური განსხვავებაა.***

– ადამიანმა იმედი არასდროს არ უნდა დაკარგო. ნებისმიერი შედეგის დადგომა, პირველ რიგში, ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. თუ ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას გავიხსენებთ, ასეთი მაგალითები იყო: შევარდნაძე როდესაც დამარცხდა „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, კი არ გაჯიუტდა, თქვა, სახლში მივდივარო. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ნაბიჯი შერიგებისკენ. ასე იყო მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაშიც, როდესაც 2012 წელს დამარცხება აღიარა და ძალაუფლება ახალ ხელისუფლებას გადააბარა. ესეც იყო შერიგება. ასე ხდება ნორმალურ სახელმწიფოებში, როდესაც დამარცხებული გამარჯვებულს ულოცავს. ეს არის პოლიტიკური თანაცხოვრება.

ჩვენს რეალობას რომ დავუბრუნდეთ, თუ დღევანდელი ხელისუფლება ამ ნაბიჯს გადადგამს, ქვეყანა წინ უფრო ჩქარი ტემპით წავა და ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროსკენ. თუ არა, მაშინ წინააღმდეგობა გაგრძელდება და კიდევ უფრო შევალთ პოლიტიკურ ჩიხში. ჩიხი არც ერთ მხარეს არ აწყობს. უპირველეს ყოვლისა, არ აწყობს ქვეყანას.



ხუთი პრეზიდენტიდან სამი ცოცხალია და ღმერთმა სამივე დიდ ხანს აცოცხლოს. მათ უნდა შეძლონ წვრილმანებზე ამაღლება. ქვეყნის ინტერესები უნდა დააყენონ ყველაფერზე მაღლა, რადგან სამივე ქართველი ხალხის მიერ არის არჩეული თავის დროზე.

***– რამეს ურჩევდით?***

– უნდა შეძლონ შეხვედრა და საუბარი ამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. მათ, პირველ რიგში, ხალხის ინტერესები უნდა გაითვალისწინონ. იმ ნდობის ლიმიტით უნდა იმოქმედონ, რომელიც თითოეულ მათგანს აქვს მიღებული, როდესაც ისინი ამ ქვეყნის არჩეული პრეზიდენტები გახდნენ. ეს პასუხისმგებლობა თითოეულ მათგანს ლამის სიცოცხლის ბოლომდე აქვს, როგორც ქვეყნის პრეზიდენტებს.

სამივე პრეზიდენტი უნდა შეხვდეს ერთმანეთს, უნდა შეთანხმდნენ გარკვეულ ალგორითმზე, ერთგვარ მონახაზზე და შემდეგ სხვები ჩაერთვებიან პროცესში. პოლიტიკოსები, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორი, ეკლესია და ა.შ. ეს ძალიან დიდი პროცესი უნდა იყოს. ერთი და ორი კაცის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს, ასეთი ისტორიული შერიგება მოხდება თუ არ მოხდება. ეს ძალიან გაცნობიერებული და გააზრებული ნაბიჯი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანისთვის.

***– „ქართული ოცნების“ დეპუტატი ალუდა ღუდუშაური ამბობს, რომ ქალბატონ პრეზიდენტს ახლა, როდესაც სჭირდებათ, მაშინ უწოდებენ პრეზიდენტს, იქნებ სააკაშვილი შეიწყალოსო. რას ეტყოდით?***

– სამართლებრივად დღეს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილია. პოლიტიკური შეფასებები და განცხადებები სხვა არის. მომწონს თუ არ მომწონს სალომე ზურაბიშვილი, ფაქტია, ის საქართველოს პრეზიდენტია. ჩვენ რას ვუწოდებთ ერთმანეთს, იმაზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ იმაზე, რას ვურჩევთ ერთმანეთს ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, ამაზე უნდა იყოს საუბარი. თორემ ჩვენ ერთმანეთი რომ არ მოგვწონს, ეს დასამალი არ არის.

***– „ქართული ოცნების“ წევრები დიალოგის მომხრენი არიან, მაგალითად, ამაზე გია ვოლსკი საუბრობს, მაგრამ რაც შეეხება შერიგებას, ეს არ შეესაბამება იმ ულტიმატუმს, რაც გვესმის ოპოზიციის მხრიდანო.***

– გია ვოლსკი რას დაარქმევს ამ პროცესს შერიგებას, დიალოგს, მოლაპარაკებას თუ ხელის ჩამორთმევას, ეს მისი ნებაა, მაგრამ პოლიტიკური ჩიხიდან რომ უნდა გამოვიდეთ, ესეც ცალსახაა. საერთოდ, უცხო არ არის პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის ასეთი გზა. ისტორიამ იცის ასეთი მაგალითები. ქართველები კი არ ვიგონებთ ახლა ველოსიპედს, ეს გზა არსებობს და უნდა შევძლოთ მისი გამოყენება. პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური კრიზისიდან ბევრი ქვეყანა გამოსულა ვადამდელი არჩევნების გზით და ამ ვადამდელ არჩევნებს წინ რაღაც დათქმები უძღვის ხოლმე. თუ ხელისუფლების პოლიტიკური ნება იქნება, ეს გზა არსებობს.

***– რამდენად რეალურად უყურებთ გორის ჰოსპიტალში სამი პრეზიდენტის შეხვედრას? ვინ უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება, ბიძინა ივანიშვილმა?***

– სიმართლე გითხრათ, დღეს ჩვენი სამი პრეზიდენტის შეხვედრის უფრო მჯერა, ვიდრე თავის დროზე სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრის, რომელიც სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო, მაგრამ ისტორიამ იცის ასეთი ფაქტი და ამ შეხვედრამ შეცვალა მსოფლიო. ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ, რომ ჩვენი სამი პრეზიდენტი შეხვდეს ერთმანეთს ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის. ამოცანა უნდა იყოს, რომ მოგებული დარჩეს საქართველოს მოქალაქე და საქართველო. თუ ეს იქნება ამოცანა, ყველაფერი იქნება შესაძლებელი.

***– როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილი უნდა დაარწმუნოს?***

– ბიძინა ივანიშვილმა თავად უნდა ირწმუნოს საკუთარი თავის. ისტორია გვეუბნება, ვინც ბოლომდე გაჯიუტდა, ის დამარცხდა, ხოლო ვინც ხელის ჩამორთმევა ისწავლა, ის გამარჯვებული რჩება ყოველთვის, პოლიტიკაშიც და, საერთოდ, ცხოვრებაში.

# საქართველოს საგარეო უწყებამ სოხუმის გეგმა ჩაშალა?

## რამ გააწიწმატა ინალ არძინბა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო უწყება მოუწოდებს ქართველ დიპლომატებს, იხელმძღვანელონ საერთაშორისო ურთიერთობის წესებით და საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

– აფხაზეთის რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და ატარებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ქვეყნის ძირითადი კანონის შესაბამისად. ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლების საერთაშორისო შეხვედრების შესახებ ქართული მხარის აზრი არ გვაინტერესებს, – ნათქვამია სოხუმის ფაქტობრივი საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მკვახე და ოდიოზური განცხადებები ოკუპირებული აფხაზეთის დიპლომატიური უწყებიდან მუდმივად ისმის.

ეს განცხადება იმით იქცევს ყურადღებას, რომ დაწერილია ახალი ფაქტობრივი საგარეო საქმეთა მინისტრის, მოსკოვიდან მოვლენილი ინალ არძინბას კურირებით. გაბრაზების საბაბიც რეალურია – სოხუმს იმედი ჰქონდა, რომ ჩინეთთან ამყარებდა თანამშრომლობას. ჩინეთთან, რომელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა, ყველა ნიშნით, საქართველოს საგარეო უწყებამ ეს ზრახვები ჩაშალა.

აფხაზეთის ფაქტობრივი საგარეო უწყება ჩივის, რომ ჩინეთის ელჩზე სირიაში საქართველოს საგარეო სამინისტრო ზეწოლას ახდენს.

ამას წინ უძღოდა აფხაზეთის ე. წ. ელჩის ბაგრატ ხუტაბას შეხვედრა სირიაში ჩინეთის ელჩთან ფენ ბიაოსთან. შეხვედრა გაიმართა დამასკოში ჩინეთის საელჩოში.



როგორც ირკვევა, შეხვედრაზე ორივე მხარემ გამოამჟღავნა დაინტერესება თანამშრომლობის ფართო სპექტრზე.

საქართველოს საგარეო უწყებამ, მართლაც, რეაგირება მოახდინა მომხდარზე. გაიმართა საუბარი ჩინეთის ელჩთან ლი იანთან. მან დამასკოს შეხვედრას, სავარაუდოდ, გაუგებრობა უწოდა და დეტალების გარკვევის პირობა დადო. ლი იანმა განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ამ პრინციპით იხელმძღვანელებს მომავალშიც. ელჩი მადლობელია, რომ საქართველოს მთავრობა განუხრელად და თანმიმდევრულად იცავს ერთიანი ჩინეთის პრინციპს. შეხვედრაზე ითქვა, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ მოუწოდებს თავის საელჩოებს, თავი შეიკავონ მსგავსი კონტაქტებისაგან.

აფხაზ კომენტატორებს არ უკვირთ, რომ თბილისმა ეს გეგმა ჩაშალა, ვინაიდან თბილისსა და პეკინს ერთმანეთთან დიპლომატიურის გარდა, ეკონომიკური ურთიერთობებიც აკავშირებთ. სოხუმელები აფხაზ დიპლომატებს ურჩევენ, რომ ეკონომიკური კავშირები და ინვესტიციები ეძებონ ჩინეთში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში და არა არასტაბილურ სირიის რესპუბლიკაში.

საგულისხმოა, რომ სოხუმი საზღვარზეც ალაპარაკდა. აფხაზები გამყოფ ზოლს „სახელმწიფო საზღვარს“ უწოდებენ და თბილისისგან ამ საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის დაწყებას მოითხოვენ.

ეს ინიციატივა ამ დღეებში გამართულ ჟენევის მოლაპარაკებების 55-ე რაუნდზეც გაჟღერდა.

ამ მოწოდების ავტორები საუბრობენ „დამოუკიდებელ აფხაზეთზე“ და „სახელმწიფო საზღვარზე“ იმ დროს, როცა ასეთი რამ არ არსებობს. ასლან ბჟანიამ ინტელიგენციასთან შეხვედრაზე ორიოდე კვირის წინ ეს აღიარა. მან აღნიშნა, რომ აფხაზებმა სუვერენიტეტი უნდა გაყონ. შემდეგ დასძინა, რომ აფხაზეთის სუვერენიტეტი უკვე გაყოფილია: საგარეო პოლიტიკა, რუბლის ზონა, თავდაცვა. მისი თქმით, აფხაზეთი საკუთარი თანხებით ჯარს ვერ ინახავს და საზღვარს ვერ იცავს. ამ სფეროებში აფხაზეთი რუსეთთან თანამშრომლობს.

ასლან ბჟანიას ეს სიტყვები ოპოზიციის მხრიდან ხმაურის საგანი გახდა. აფხაზეთის სახალხო-პატრიოტული კავშირი, რომელშიც ბჟანია-ანქვაბის მთავარი ოპონენტები გაერთიანდნენ, ბჟანიას კიდევ ბევრჯერ „ამხელს“ სუვერენიტეტის გაყოფის გამო.



სოხუმის „საგარეო პოლიტიკა“ რომ რუსეთის პოლიტიკის ნაწილია, ინალ არძინბას შემდეგი განცხადებაც მოწმობს:

– მოსკოვისა და პეკინის თანასწორი პარტნიორობა და სტრატეგიული ურთიერთობა არის უფრო სამართლიანი პოლიტიკური მსოფლიო წესრიგის ფორმირების ფუნდამენტი. ახალი მსოფლიო წესრიგი გულისხმობს ყველა ხალხის პატივისცემას და დაფასებას.

ეს სიტყვები მან სოხუმის ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობების ჩასახვას მიუსადაგა.

ბევრი ნიშნის მიხედვით, ჩინეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს არ გადაუხვევს. რუსეთს კი, ნატოსთან, უკრაინასთან და აშშ-სთან (დიდ შვიდეულთან) ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვის ფონზე, ექნება მცდელობები, გააღრმავოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ოკუპაცია და მათი „აღიარების“ გაფართოების მცდელობები. თუმცა, ოკუპირებული რეგიონების ცნობა ადვილი არ არის და ამას რუსეთის მოკავშირეებიც მოერიდებიან.

# „სააკაშვილს ექსპერტიზა უცხოელმა ექიმებმა უნდა ჩაუტარონ“

## მაია ნიკოლეიშვილი: „დღეს საოცარი ძალადობა ხორციელდება ჯანსაღი ადამიანების ფსიქიკაზე“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი პასუხობს.**

***– ქალბატონო მაია, დროდადრო კეთდება განცხადებები, რომ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფსიქიკურად კარგად არ არის. ამაზე ძირითადად სააკაშვილის თანამებრძოლები და ადვოკატები საუბრობენ. მაგალითად, გვარამიამ განაცხადა, რომ სააკაშვილს მენტალური პრობლემა აქვს. მენტალური პრობლემა რას ნიშნავს?***

– მე მგონი, უკვე ჩვენ (საზოგადოებას) გვაქვს ეს პრობლემები. ოღონდ, არა მარტო მენტალური, არამედ ფსიქიატრიული.

***– ჩვენ რატომ გვაქვს ეს პრობლემა?***

– იმიტომ, რომ აშკარად ვხედავთ, რაც ხდება. ამას გვარამია დიდი ხანია ამბობს. თქვენი გაზეთის საშუალებით პრემიერს მივმართე, ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარეთ-მეთქი. გვარამია ამბობს იმას, რაც ყველამ კარგად ვიცით. გასაჯაროვდა, რა წამლებს სვამს. მას ფსიქოზი მაინც აქვს.

***– მიზანმიმართული განცხადებები ხომ არ არის?***

– რაც უნდა იყოს, ეს კაცი კარგად არ არის, ამაში ეჭვი ვინმეს ეპარება? ამაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ ფაქტობრივად, ჩვენ მასზე აყოლილები ვართ და ჩვენ გვაქვს პრობლემა. უცებ ეს კაცი იტყვის შევრიგდეთო და მთელი ტელევიზიები და საზოგადოება შერიგების თემას განიხილავს.

***– სულ ლაპარაკობენ იმაზე, რომ მის მიმართ ადგილი აქვს მედიკამენტოზურ მოწამვლას, წამებას.***

– ეს დასკვნა ერთ-ერთმა ექსპერტმა ზეპირად განაცხადა. აბსოლუტურად ყველა მკურნალმა ექიმმა თქვა, რომ მსგავსი არაფერია. ესეც დაახლოებით იმავე ოპერიდან არის, როგორიცაა შერიგება და პატიება. სააკაშვილის ტექსტები რაც არის, ჩათვალეთ, ეგ დასკვნაც იგივე ოპერიდანაა. უფრო ჭკვიანური არ არის.

***– სააკაშვილის მოწამვლაზე, მგონი, „ემპათია“ საუბრობს. მას გულისხმობთ, როცა დასკვნაზე მიუთითებთ?***

– დიახ. ჩემთვის კარგადაა ცნობილი „ემპათიას“ მუშაობის სტილი. „ემპათია“ აბსოლუტურად ორიენტირებულია იმაზე, დაიწეროს, რომ საქართველოში რაღაც კატასტროფა ხდება. შემდეგ ის „კატასტროფული“ ინფორმაცია გრანტის მიმცემს გაუგზავნოს. აქ, ერთადერთი ინტერესი ფინანსური ინტერესია. პოლიტიკური კი არა, ჩვეულებრივი ფინანსური ინტერესი. რაც უფრო მეტ საშინელებას აღმოაჩენს საქართველოში, მით უკეთესი მისთვის. სააკაშვილმა ხომ თქვა, გუანტანამოს ციხეს გავსო. გუანტანამოს ციხეს შეადარა. გავოგნდი. ამას რომ ვისმენდი, უბრალოდ, ჩემი თავი შემეცოდა, ჩემი ფსიქიკა შემეცოდა.



***– ამას გარკვეული მიზნით ხომ არ ამბობს, რადგან ამგვარ განცხადებებს თან ახლავს განცხადებები უცხოეთში მკურნალობის საჭიროებაზე, ანუ საჭიროა ციხიდან გასვლა და საზღვარგარეთ მკურნალობაო.***

– დღეს საოცარი ძალადობა ხორციელდება ჯანსაღი ადამიანების ფსიქიკაზე. პარალელურად არის პანდემია. პანდემიაზე, გარდა ტელევიზიისა, ფაქტობრივად, ვერავინ ფიქრობს. ყველა იმაზე ფიქრობს, როგორ გამოვა ციხიდან ტანჯული სახით ყიფშიძე და სააკაშვილის ამბებს მოგვახსენებს. ამ დილით გავიგე, რომ თურმე კუჭ-ნაწლავის პრობლემები ჰქონია

***– სისტემა როგორ უნდა გავასამართლოთ, თუ მისი შემოქმედი, ლიდერი არ გასამართლდება?***

– სააკაშვილის გვერდით თავისნაირებს ვერ ხედავთ? ფანატიკოსებს რომ ვუყურებთ, ისინი თავისნაირებია. მიშამ ერთნაირი ჭკუის, ერთნაირი ფსიქოტიპის ადამიანები შემოიკრიბა. რაც მოხდა, ამ ჯგუფმა გააკეთა. მარტო სააკაშვილი რისი გამკეთებელია ან ახლა, ან მაშინ რას გააკეთებდა, მის გვერდით ის ჯგუფი რომ არ ყოფილიყო. მან შექმნა ჯგუფი. მათ ჰქონდათ ხელშეწყობა და დაფინანსება.

***– მაშინ სააკაშვილის პრობლემაზე საზოგადოებამ როგორ უნდა იმოქმედოს?***

– სახელმწიფო კომისია უნდა შეიქმნას და სისტემური დანაშაული უნდა გამოიკვეთოს. სახელმწიფო კომისიაში უნდა შევიდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, ისინი, ვისაც ჯერ კიდევ ჭკუა მოეკითხება. ვინც ჯერ არ გაგიჟებულა ამ სიგიჟეში.

თუ პოლიტიკური ნება არის, სააკაშვილს ჩაუტარონ ფსიქიატრიული ექსპერტიზა, მოიწვიონ ფსიქიატრები სხვა ქვეყნიდან და დაიწეროს დასკვნა. თუ ეს კაცი ავად არის, სადაც უნდათ, იქ უმკურნალონ.

# გიორგი ამილახვარი: „არც არავის სჭირდება მელიასთან შერიგება“

„ერთი კვირის წინ, რუსთაველის გამზირზე ნაძვის ხის ანთების ცერემონია იყო, სადაც 50-ჯერ მეტი ადამიანი მოვიდა, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ მიერ ნებისმიერ დაანონსებულ აქციაზე, რომელიც მიშას გათავისუფლებას ეძღვნება“ – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, გიორგი ამილახვარმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

გიორგი ამილახვარმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებულ აქციაზე საუბრისას, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით 21 დეკემბერს გაიმართება, განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტის გათავისუფლების იდეას საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვს.

რაც შეეხება შერიგებასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინიციატივას, უმრავლესობის წევრის თქმით, არავის სჭირდება „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიასთან შერიგება.

„მილიონამდე ადამიანმა მისცა „ქართულ ოცნებას“ ხმა, კიდევ რამდენია იმის მიღმა, რომელმაც არც ჩვენ მოგვცა ხმა, მაგრამ არც „ნაციონალურ მოძრაობას.“ ეს ჯამურად არის მოსახლეობის უმრავლესობა. როგორ წარმოგიდგენია, „ქართული ოცნება“ გამოვიდეს და ილაპარაკოს პოლიტიკურ შერიგებაზე, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ არის ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა?! – არც არავის სჭირდება მელიასთან შერიგება. როდესაც ეს ხალხი გაათვითცნობიერებს, რა კრიმინალი აქვთ ჩადენილი და მიხვდებიან, რომ საერთოდ პოლიტიკა უნდა დატოვონ, მაშინ მოხდება პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილურება, როგორც თვითონ წარმოუდგენიათ. ერთი კვირის წინ, რუსთაველის გამზირზე ნაძვის ხის ანთების ცერემონია იყო, სადაც 50-ჯერ მეტი ადამიანი მოვიდა, ვიდრე ნებისმიერ მათ დაანონსებულ აქციაზე, რომელიც ეძღვნება მიშას გათავისუფლებას. ამ იდეამ ვერ შეიძინა საზოგადოებრივი მხარდაჭერა“ – განაცხადა გიორგი ამილახვარმა.

# ნიკა მელია: „სანამ სააკაშვილი ტყვეობაშია, შერიგებაზე საუბარი აზრს მოკლებულია“

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიერ გორის ჰოსპიტალიდან გავრცელებულ მიმართვას ეხმაურება.

„ეს არის კარგად ორგანიზებული კამპანია სუსის მიერ. იმ სუსის მიერ, რომელზეც დგას მთელი პოლიტიკური სახელისუფლებო გუნდი, მაგრამ მათი მცდელობები არის ამაო, რომ მოახდინონ საპროტესტო ელექტორატის დემოტივაცია. მათ ეს არ გამოუვათ. მნიშვნელოვანია ახლა მობილიზაცია, მნიშვნელოვანია ახლა, რომ ჩვენი საპროტესტო ხმა კიდევ და კიდევ უფრო ხმამაღლა ისმოდეს. 21 დეკემბერს ყველას გელოდებით 18:00 საათზე რუსთაველის გამზირზე და ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სანამ მიხეილ სააკაშვილი არის ტყვეობაში, საუბარი სამოქალაქო ერთობასა და შერიგებაზე, რბილად რომ ვთქვათ, იქნება უბრალოდ აზრს მოკლებული“ – აცხადებს ნიკა მელია.

# სააკაშვილს 14 დეკემბრიდან კვებაში შეზღუდვა საერთოდ აღარ ექნება

სახელმწიფო კონსილიუმის ექიმები აცხადებენ, რომ 14 დეკემბრიდან მიხეილ სააკაშვილს კვებაში შეზღუდვა საერთოდ აღარ ექნება.

„ხვალიდან კვებაში შეზღუდვა საერთოდ აღარ ექნება. ფიზიოლოგიური კვება მიიღო და მაინც ჯერ ვზღუდავდით და არ ვაძლევდით. ხვალიდან იქნება ჩვეულებრივ, გაფართოებულ კვებაზე, კვებას ითვისებს ნამდვილად კარგად, იმიტომ, რომ ის, ყველაზე მეტად რაც გვჭირდებოდა, მე, როგორც ენდოკრინოლოგს, ის ყველა ნორმა ნორმაშია... და მაგალითად, გასაგები რომ იყოს, გახსოვთ, რომ ხსენებაში იყო კალიუმი – ზოგჯერ სჭირდებოდა 10 და 12 აბი იმისთვის, რომ აღედგინა ნორმა, – ამბობს ენდოკრინოლოგი ელენე გიორგაძე.

## არასრულწლოვანი შვილების გაუპატიურების ბრალდებით მამა დააკავეს




არასრულწლოვანი შვილების გაუპატიურების ბრალდებით მამა დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, 45 წლამდე მამაკაცი 15 წლამდე ასაკის შვილების მიმართ სექსუალურ ძალადობაშია ბრალდებული.

არსებული ინფორმაციით, საუბარია 9 და 12 წლის ბავშვებზე. მამასთან ერთად დაკავებულია კიდევ ერთი პირი. მომხდარის შესახებ სხვა დეტალები უცნობია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 137-ე (ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ გაუპატიურება) და 140-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც 16 წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევას გულისხმობს.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ავარიას მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ავარიას მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევა სოფელ ნინოწმინდასთან ცოტა ხნის წინ მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ცენტრალურ მაგისტრალზე ერთმანეთს საპირისპიროდ მოძრავი „ფორდ ტრანზიტისა“ და ტრაილერის ტიპის მანქანები შეეჯახა. შედეგად ერთი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

## ხობში ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა

ხობში, სოფელ პირველ მაისში ავტოსაგზაო შემთხვევას შუახნის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. არსებული ინფორმაციით, ის დისტრიბუციის მძღოლი იყო. ავტოსაგზაო შემთხვევა, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოხდა. ერთმანეთს სატვირთო და დისტრიბუციის მანქანები შეეჯახნენ.

## საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 22 ფაქტი გამოავლინა

საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 22 ფაქტი გამოავლინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, მიმდინარე წლის ნოემბერში, საქართველოს მასშტაბით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოვლენილია მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 22 ფაქტი, რაზედაც ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 26 პირი.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიების პროცესში, დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სხვადასხვა დასახელების ჯამში 89.033 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 400.000 ლარს აღემატება.

როგორც უწყებაში განმარტავენ, გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

## ქობულეთში 3 ადამიანის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

ქობულეთში 3 ადამიანის ცივი იარაღით დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს. უწყების ცნობით, ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს. თვითმხილველის ცნობით, ინციდენტამდე მამაკაცები სატვირთო ავტომანქანას მანდარინით ტვირთავდნენ.

## პროკურატურამ 2019 წლის 20-21 ივნისის აქციაზე დაზარალებულ მოქალაქეს სტატუსი 2 წლისა და 5 თვის შემდეგ მიანიჭა

გენერალურმა პროკურატურამ დაზარალებულად ცნო 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის დარბევისას დაზარალებული ვახტანგ ბერიკაშვილი, რომლის სამართლებრივ ინტერესებს „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ იცავს. ამის შესახებ ინფორმაციას „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ავრცელებს.



მათი ინფორმაციით, ვახტანგ ბერიკაშვილი 2019 წლის 20 ივნისს იმყოფებოდა პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე, რათა გამოეხატა მშვიდობიანი პროტესტი საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ითხოვდა, 20-21 ივნისის დაზარალებულებს დაუყოვნებლივ მინიჭებოდათ დაზარალებულის სტატუსი. ორგანიზაციამ ეროვნულ დონეზე ყველა არსებული სამართლებრივი საშუალება გამოიყენა, რათა გენერალურ პროკურატურას ეწარმოებინა დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება. დაზარალებულების სამართლიან მოთხოვნებზე უარის შემდეგ, „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ სტრასბურის სასამართლოს მიმართა. შსს-ს მიერ დარბეულ დემონსტრაციაზე დაზარალებული მოქალაქე ევროპული კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების დარღვევის დადგენას ითხოვს.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებისას დაზარალებულ კიდევ სამ მოქალაქეს იცავს. მათაც დაზარალებულის სტატუსი პროკურატურამ მხოლოდ მას შემდეგ მიანიჭა, რაც სტრასბურის სასამართლომ საჩივარი დაარეგისტრირა და ხელისუფლებასთან კომუნიკაცია დაიწყო. სწორედ იმ პერიოდში ცენტრმა კიდევ ერთხელ მოითხოვა ვახტანგ ბერიკაშვილისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, მაგრამ წინა საქმეებზე არსებული გამოცდილების მიუხედავად, პროკურატურისგან კვლავ უარი მიიღო. 2021 წლის 9 დეკემბერს – უკვე მას შემდეგ, რაც სტრასბურის სასამართლოს ამ საქმეზეც დაწყებული აქვს სახელმწიფოსთან კომუნიკაცია – პროკურატურამ ბერიკაშვილს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა.

შსს-ს მიერ 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის არაპროპორციული ძალის გამოყენებით დარბევის შედეგად, ვახტანგ ბერიკაშვილმა მიიღო ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანებები სპეცრაზმელების მიერ ნასროლი სავარაუდოდ პლასტმასისა და კაუჩუკის შემცველი გაურკვეველი წარმოების ტყვიისაგან, რომელიც მისი სხეულიდან – მხრის მიდამოდან ამოიღეს სამედიცინო დაწესებულებაში. მისი სხეულიდან ამოღებული ტყვიის კადრი მედიაშიც არაერთხელ გავრცელდა, რითაც დასტურდებოდა დემონსტრანტებზე სასტიკად მოპყრობის ფაქტი. მიყენებული ჭრილობის გარდა, ვახტანგ ბერიკაშვილმა განიცადა ძლიერი ემოციური სტრესი, როდესაც ხედავდა, სამართალდამცავები როგორი დამიზნებით ესროდნენ აქციის მონაწილეებს რეზინის ტყვიებს. პოლიციამ რეზინის ტყვიები საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით გამოიყენა ისეთ ვითარებაში, როცა მისი უკიდურეს ღონისძიებად გამოყენების აუცილებლობა არ არსებობდა და თანაც, რაც მთავარია – გამოიყენა იმ დემონსტრანტების მიმართ, რომელთაგანაც კონკრეტულ/ინდივიდუალურ შემთხვევებში ძალადობის თუ სხვაგვარი ძალადობრივი ქმედებების რეალური და მყისიერი საფრთხე არ არსებობდა. ძალის გადამეტებამ დემონსტრაციის არაერთი მონაწილისა და ჟურნალისტის ჯანმრთელობის მძიმე და ზოგ შემთხვევაში, გამოუსწორებელი დაზიანება გამოიწვია“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## ირაკლი ღარიბაშვილი „დელტაში“ ახალი სადაზვერვო მანქანის პრეზენტაციას დაესწრო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ წარმოებული ახალი სადაზვერვო მანქანის პრეზენტაციას დაესწრო.



მთავრობის მეთაურმა ახალი სადაზვერვო მანქანა დაათვალიერა და მისი ტაქტიკური და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია „დელტას“ კონსტრუქტორებისგან მოისმინა.

„დელტაში“ წარმოებული ახალი სადაზვერვო მანქანა სრულად აკმაყოფილებს თავდაცვის ძალების მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

330 ცხენის ძალის მქონე ძრავით აღჭურვილი სადაზვერვო ჯავშანმანქანა სხვადასხვა კალიბრის ვაზნებისგან დაცვას უზრუნველყოფს და შვიდ სამხედრო მოსამსახურეზეა გათვლილი. მანქანას მოასფალტებულ გზაზე 110 კილომეტრის განვითარების შესაძლებლობა აქვს და ტექნიკურად 60-სანტიმეტრიანი თხრილის, 40 სმ სიმაღლის ვერტიკალური საფეხურის და მოუმზადებლად 80 სმ სიღრმის წყლის დაბრკოლების გადალახვა შეუძლია. პროექტის მიხედვით, ახალ ჯავშანმანქანაზე, შესაძლებელია სხვადასხვა სადაზვერვო აღჭურვილობისა და დისტანციურად მართვადი საბრძოლო მოდულის დამონტაჟება.

„დელტა“ სხვადასხვა დანიშნულებისა და შესაძლებლობების ჯავშანტექნიკას აწარმოებს, სადაზვერვო მანქანის აღნიშნული მოდელი კი, ცენტრში პირველად დამზადდა. სამომავლოდ იგეგმება სადაზვერვო ჯავშანტექნიკის სერიული წარმოება და ექსპორტზე გატანა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე დაათვალიერა „დელტას“ მიერ წარმოებული სამხედრო უნიფორმები, სხვადასხვა კალიბრის ნაღმსატყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო ბორტსაწინააღმდეგო ნაღმი.

ირაკლი ღარიბაშვილი ქართულ-ებრაულ იარაღის საწარმო „დელტა სიეიეი“-შიც იმყოფებოდა, სადაც უახლესი აპარატურით იარაღის წარმოების პროცესს ადგილზე გაეცნო.

ქართულ-ებრაულ საწარმოში უახლესი აპარატურითა და უმაღლესი ხარისხით ხდება იარაღის გალვანირება, ქრომირება და ანოდირება. აპარატურა ეკოლოგიურად უსაფრთხოა და საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს.

ახალი სადაზვერვო მანქანის პრეზენტაციას პრემიერ-მინისტრთან ერთად ესწრებოდნენ

თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე – გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ აზარაშვილი, „დელტას“ ხელმძღვანელი და თავდაცვის ძალების წარმომადგენლები.



## პრემიერ-მინისტრი იორდანიის სამეფოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იორდანიის სამეფოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს იუსეფ აჰმად ალ-ჰნაითს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. აღინიშნა, რომ საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იორდანიასთან მეგობრული ურთიერთობების განვითარებას. გამოითქვა იმედი საქართველოსა და იორდანიის სამეფოს შორის სხვადასხვა სფეროში ორმხრივი კავშირების შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით.

მთავრობის მეთაურმა იორდანიის სამეფოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი იორდანიის ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ხაზი გაესვა მაღალი დონის ვიზიტების გაცვლის მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ ეს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას იორდანიის სამხედრო დაზვერვის დირექტორი აზამ ალ რავაჰნენი, იორდანიის დიზაინისა და განვითარების ბიუროს გენერალური დირექტორი აიმან ალ ბათრანი, იორდანიის დაგეგმვისა და ორგანიზების დირექტორი ჰოსამ ჰადადი ესწრებოდნენ. შეხვედრაში ქართული მხრიდან მონაწილეობდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, თავდაცვის ძალების მეთაური გიორგი მათიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი.

## გურჯაანში ეკლესია უკვე მეოთხედ გაქურდეს

უკონტროლო კრიმინალი გურჯაანში – სოფელ ჩუმლაყის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია მეოთხედ გაქურდეს. პირმა, რომლის ვინაობაც დადგენილი არ არის, ტაძრიდან „ვედრების“ ხატი მოიპარა.

ხატის დაკარგვა სტიქაროსანმა 11 დეკემბერს შეამჩნია.

უჩა ქემაშვილის ინფორმაციით, ის გარკვეული დროის განმავლობაში, სოფელში არ იმყოფებოდა და ვარაუდობს, რომ ფაქტიც იმ დროისათვის მოხდა.

„ათი დღის განმავლობაში ვიყავი წასული. დაბრუნების შემდეგ, ეკლესიას მივაკითხე და ვნახე, რომ ღვთისმშობლის „ვედრების“ ხატი აღარ არის. ეს ხატის მოპარვის პირველი შემთხვევა არ არის, უკვე მეოთხედ ხდება, როცა ეკლესიებში შედიან, ქურდობენ და არავითარი რეაგირება არ ხდება. ჯერ პოლიციისათვის არ მიგვიმართავს“ – განაცხადა ქემაშვილმა.

## მოზარდი, რომელიც ძმამ პნევმატური თოფით დაჭრა, გარდაიცვალა

შემზარავი შემთხვევა კახეთში – მოზარდი, რომელიც ძმამ პნევმატური თოფით დაჭრა, გარდაიცვალა.

შემთხვევა ნოემბრის დასაწყისში გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდაში მოხდა.

12 წლის გოგონა, ძმამ პნევმატური იარაღიდან შემთხვევითი გასროლით, თავის არეში დაჭრა.

არასრულწლოვანი, თავდაპირველად, გურჯაანში, „ჯეოჰოსპიტალსის“ კლინიკაში შეიყვანეს, შემდეგ კი თბილისში გადაიყვანეს. ის, ამ დრომდე, იაშვილის სახელობის კლინიკაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.

ექიმების განმარტებით, სროლა, სავარაუდოდ, ახლო მანძილიდან განხორციელდა, რის გამოც მიყენებული დაზიანება მძიმე იყო.

# კადიროვი სოკუროვის წინააღმდეგ

პუტინის ველიკოდერჟავულმა პოლიტიკამ რუსეთი ჩიხში შეიყვანა. კონფლიქტი საქართველოსთან, ჰიბრიდული ომი უკრაინასთან, დაპირისპირება ბალტიისპირეთთან, პოლონეთთან, ევროკავშირთან, სულ უფრო გამძაფრებული ურთიერთობები აშშ-თან – ასეთია ამჟამინდელი საერთაშორისო ვითარება. ცეცხლზე ნავთი დაასხა პუტინის მცდელობამ, მიეღწია ე.წ. „ახალი იალტისთვის“.

ახალ „კარიბის კრიზისზე“ უკვე ყველა ლაპარაკობს. ასეთ ვითარებაში თავად რუსეთშიც გამოჩნდა ხალხი, ვინც ხვდება, რომ პუტინს ქვეყანა კატასტროფისაკენ მიჰყავს. მათ რიცხვს განეკუთვნება ცნობილი კინორეჟისორო ალექსანდრე სოკუროვიც, რომელმაც რუსეთის პრეზიდენტის წინაშე მართლაც შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა. სოკუროვმა ყურადღება გაამახვილა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებაზე. მან განაცხადა, რომ იქაურ მოსახლეობას რუსები სძულს და ეს ეთნიკურ ვითარებაზეც აისახა. ჯერ კიდევ 1991 წელს რუსულმა მოსახლეობამ რეგიონის დატოვება დაიწყო. ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

– ჩრდილოეთ კავკასიაში ძირითადად მკვიდრი მოსახლეობა დომინირებს, – თქვა სოკუროვმა.

კინორეჟისორმა პუტინს ჩრდილოეთ კავკასიის დატოვებისაკენ მოუწოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს რაც შეიძლება მალე უნდა გაკეთდეს. თავის მოტყუება იმით, რომ ვითარებას ვაკონტროლებთო, ფუჭია. ჩრდილოეთ კავკასიის შენარჩუნების მცდელობა რუსეთისათვის კატასტროფით დასრულდება.



– საერთოდ, ვისაც ჩვენთან ცხოვრება არ სურს, დაე, ცალკე გავიდეს! ამაში ვერავითარ უბედურებას ვერ ვხედავ, – თქვა სოკუროვმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კინორეჟისორის სიტყვებმა პუტინი განარისხა. მან სოკუროვს უკრაინელი ნაციონალისტების თანამზრახველი უწოდა.

– ამას წინათ ლვოვის საოლქო საბჭომ მიიღო მიმართვა, რომ რუსეთს სახელი გადაერქვას და მოსკოვია ეწოდოს! თქვენ გსურთ, რომ მოსკოვის სათავადოს საზღვრებამდე შევვიწროვდეთ? – თქვა პუტინმა.

გაცილებით აგრესიული იყო ჩეჩნეთის პრორუსული მარიონეტული ხელისუფლების მეთაურის რამზან კადიროვის პოზიცია. მან სოკუროვს ტიპიური „ძველბიჭური“ გარჩევა მოუწყო:

– ვინა ხარ შენ, რომ მსჯელობ, თუ ვის სურს რუსეთთან ერთად ცხოვრება და ვის არა?! ასეთი დეგენერატი საიდან მოხვედი? – გაჰყვიროდა ტელეეკრანიდან კადიროვი.

პუტინის ჩეჩენი მარიონეტი მარტოოდენ ამას როდი დასჯერდა. მან სოკუროვს „ბინძური მოღალატე“ უწოდა. კადიროვმა რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტს მიმართა და სოკუროვის წინააღმდეგ საქმის აღძვრა მოსთხოვა. მალე მსგავსი დადგენილება ჩეჩნეთის ე.წ. „პარლამენტმაც“ მიიღო.

– კადიროვი ბევრად უფრო „რუსი“ გამოდგა, ვიდრე თავად პუტინი, – იტყობინება ტელე-კომპანია „დოჟდი.“

თავად სოკუროვმა განაცხადა, რომ მომხდარის შემდეგ თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს.

– არა მგონია, რომ პუტინმა ჩემი დევნა დაიწყოს, მაგრამ კადიროვისა კი ნამდვილად მეშინია, – თქვა სოკუროვმა.

გარდა ამისა, მან განაცხადა:

– არ გამოვრიცხავ, რომ ქუჩაში ჩემზე თავდასხმა მოხდეს.

რამზან კადიროვი კი კინორეჟისორისადმი მუქარას განაგრძობს.

# ტორპედო დარჩა, გაგრა დაბრუნდა



**ტორპედო-მერანი 3:0 (დდ)**

**1:0 ცინცაძე (65პ), 2:0 მუდიმუ (87), 3:0 ახვლედიანი (102)**

**ტორპედო:** შოვნაძე, აბულაძე, მირცხულავა (მუდიმუ 81), ნადარაია, ინკუმი (წოწონავა 65), ცინცაძე, კარაგუნისი, ტაბატაძე, ბუკასი (მახარობლიძე 80), ახვლედიანი, ზიდანი (მჭედლიძე 65)

**მერანი:** ბეგაშვილი, გეგია, ბიბილაშვილი, აფაქიძე, მელიავა, შალამბერიძე (ფაცაცია 105), ჯლამაია (სიხარულია 105), ლაღაძე (წულაია 46), ქანთარია (მასოაბი 67), გოგოლიძე (ლომთაძე 105), სილა

ეროვნული ლიგა დასრულდა. ბოლო მატჩი ყველაზე საინტერესო გამოდგა. ქუთაისში ფლეი-ოფის განმეორებით მატჩში ტორპედომ დამატებით დროში მარტვილის მერანი 3:0 დაამარცხა და ეროვნულ ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

რიონისპირელებს პირველი შეხვედრა მარტვილში 0:2 ჰქონდათ წაგებული, მაგრამ რთული ამოცანა გულშემატკივრების მხარდაჭერით გადაჭრეს. სტადიონზე მისული ქომაგის მხარდაჭერას დიდი ძალა რომ აქვს, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ეს იმათ გასაგონადაც ვთქვათ, საქართველო-მაკედონიის უმნიშვნელოვანეს მატჩზე მაყურებელი რომ არ დაუშვა.

ტორპედოს საქმე კიდევ უფრო გაურთულდა, როდესაც დიდი უპირატესობის მიუხედავად, პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა.

მე-2 ტაიმში თამაშის სურათი არ შეიცვალა – ქუთაისელებს მეტოქის კარზე იერიში იერიშზე მიჰქონდათ, მაგრამ გოლი აგვიანებდა. თუმცა, 65-ე წუთზე ცინცაძემ ახვლედიანის მოპოვებული პენალტი გამოიყენა და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ სტუმრებიც გააქტიურდნენ, რადგან კონტრიერიშებზე გადასვლის საშუალება მიეცათ, ხოლო 87-ე წუთამდე თავსაც კარგად იცავდნენ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ალეკ მუდიმუმ მაინც გაიტანა და დამატებითი დრო დაინიშნა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა თორნიკე ახვლედიანმა 103-ე წუთზე მახარობლიძის პასით ბურთს ბეგაშვილის კარში მიუჩინა ადგილი, ანგარიში 3:0 გახდა.

მერანის მწვრთნელმა მონიავამ სამმაგი შეცვლით სცადა თავდასხმის გაძლიერება, 118-ე წუთზე წულაიამ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ შეძლო შოვნაძის კარის აღება, მაგრამ ბურთი კარს ააცილა და ტორპედომ ეროვნულ ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

**გაგრა-შუქურა 1:0**

**თბილისის ზღვის ბაზა**

**1:0 მაქაცარია (7)**

**გაგრა:** კერესელიძე, ხოსიტაშვილი, ჩადუნელი, შეწირული, ქობულაძე, სულთანიშვილი, ვეკუა (ნოზაძე 80), სამუშია (რ.კაკაშვილი 61), ხაბელაშვილი (მარკოზაშვილი 72), გვიშიანი (მუმლაძე 80), მაქაცარია

**შუქურა:** თებიძე, ფარტენაძე, ჭანტურია, სპიჩკა, კომახიძე (ვერულიძე 89), მუსელიანი, კ.კაკაშვილი, ვარშანიძე (ჟუნინიო 61), სარდალიშვილი, ჯერალდო, ინგოროყვა (აფხაზავა 84)

ამ გუნდების პირველი მატჩი უგოლოდ დასრულდა, მეორეში კი ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც მაქაცარიამ მატჩის დასაწყისში გაიტანა და გაგრა ელიტას 10-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

# ბაიდენი პუტინს: „უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში საშინელ ხარკს გაიღებთ!“



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა კვლავ განაცხადა, რომ მხარს უჭერს უკრაინის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

– ბატონ პუტინს პირდაპირ ვუთხარი და ახლაც ვიმეორებ, რომ უკრაინაში შეჭრისათვის საშინელ ხარკს გაიღებს, – თქვა ბაიდენმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ პუტინთან საუბრისას უკრაინასთან დაკავშირებთ არავითარი კომპრომისული წინადადება არ განუხილავს. ამავე დროს პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ მალე შედგება რუსეთ-აშშ-ის პრეზიდენტების კიდევ ერთი სატელეფონო საუბარი. პუტინ-ბაიდენის შეხვედრაზე საუბარი ჯერჯერობით არ არის, – თქვა პესკოვმა.

# დიდმა შვიდეულმა რუსეთი გააფრთხილა

მალე ლივერპულში დიდი შვიდეული შეიკრიბება. თანახმად სააგენტო რეიტერსის ცნობისა, მზადდება მიმართვა რუსეთისადმი.

„დიდი შვიდეული აპირებს გააფრთხილოს რუსეთი, რომ უკრაინაში შეჭრა ძვირი დაუჯდება“ – იტყობინება „რეიტერსი“.

# რომის პაპი შეშფოთებულია



რომის პაპმა ფრანცისკმა განაცხადა, რომ უკრაინის გარშემო შექმნილი ვითარება საგანგაშოა. ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება.

– აუცილებეია, რომ უკრაინის გარშემო საერთაშორისო მოლაპარაკებები დაიწყოს, – აცხადებს პაპი.

# აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე კიევს და მოსკოვს მოინახულებს



აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე კარენ დონფრიდი კიევსა და მოსკოვს მოინახულებს. ის რუსეთის და უკრაინის პირველ პირებს შეხვდება.

– დონბასის კონფლიქტი უნდა დამთავრდეს! ეს კი მხოლოდ მინსკის შეთახმებების რეალიზებითაა შესძებელი,-თქვა დონფრიდმა.

ამავე დროს ამერიკელმა დიპლომატმა განმარტა, თუ რას გულიხსმობს ტერმინში მინსკის შეთანხმებები. ესაა ტყვეების გაცვლა პრინციპით ყველა – ყველაზე, განაღმვა, დონბასიდან უცხო ჯარის გაყვანა და რუსეთ– უკრაინის საზღვრის უკრაინის კონტროლქვეშ გადაცემა. დონბასში ადგილობრივი არჩევნების ჩატარებაც მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი.

– საუბარი არაა არც შტაინმაიერის ფორმულაზე, არც სხვა რაიმე კომპრომისზე, – აცხადებს დონფრიდი.

გერმანიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის წინააღმდეგ

ბუნდესტაგის საგარეო კომიტეტის ხელმძღვანელმა ნორბერტ რეტგენმა გერმანიის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრ ბერბოკს მიმართა. რეტგენი მოითხოვს, რომ მინისტრმა დააფიქსიროს მკვეთრი პოზიცია „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის მიმათ. როგორც ცნობილია, ბერბოკი არაერთგზის აცხადებდა, რომ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის გახორციელების წინაალმეგია. ამას გარდა რეტგენი ამბობს, რომ ბერბოკის პოზიციაში უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში უფრო მეტი კატეგორულობაა საჭირო. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ რუსეთთან დიალოგი უნდა გაგრძელდეს. რეტგენის სიტყვებმა გარკვეულწილად შედეგი გამოიღო.

გერმანიის ახალმა საგარეო საქეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის სერტიფიცირება გამორიცხულია.

# ზელენსკიმ უკრაინულ არმიას მადლობა გადაუხადა



ვლადიმერ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის არმია წარმატებით გაუმკლავდა რუსი ოკუპანტების შეტევას. პუტინის მცდელობა, რომ ე.წ. „ნოვოროსია“ შეექმნა, ჩაიშალა. დონბასის უკვე 90% მტრისაგან გათავისუფლებულია.

– მსურს ჩვენს ჯარისკაცებს მადლობა გადავუხადო. მათ შეუძლებელი შესძლეს, – თქვა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ხმელეთზე რუსებთან ერთგვარი პარიტეტი დამყარდა. ამავე დროს მოსკოვი ჯერ-ჯერობით ინაჩუნებს უპირატესობას ჰაერსა და ზღვაზე.

– მალე მათ ეს უპირატესობაც აღარ ექნებათ! – განაცხადა ზელენსკიმ.

# კრემლი ისევ იმუქრება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არავის არ ემუქრება და უკრაინაში შეჭრასაც არ აპირებს. ამავე დროს ვლადმიერ ვლადიმიროვიჩმა აღნიშნა, რომ რუსეთი საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად ყველაფერს იღონებს.

– თუ ამერიკელები და ევროპა დამატებით სანქციებს დაგვიწესებენ, ეს მათ ბუმერანგივით დაუბრუნდებათ, – ამბობს პუტინი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რუსუდან შარაძე „ვალასის წყაროს“ რეაბილიტაციას ითხოვს



გურამ შარაძის შვილი, რუსუდან შარაძე, საპატრიარქოსთან მიმდებარე სკვერში, ერეკლეს მოედანზე დამდგარი „ვალასის წყაროს“ რეაბილიტაციას ითხოვს და ღია წერილით მიმართავს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, მამა ანდრია ჯალმაიძეს:

– ერთ საჭირბოროტო და უხერხულ საკითხზე მოგმართავთ, რომლის ისტორია ასეთია: 1994 წლის ოქტომბერში გაიმართა სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებ „სრულიად ქართველთა დიდი ფორუმი“, რომლის პრეზიდენტი ჩვენი დიდი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი გურამ შარაძე გახლდნენ. თბილისის გარდა, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: ქუთაისში, ბათუმში, თელავში, მესტიაში და ა.შ., ჩატარდა უამრავი ღონისძიება. მათ შორის, პარიზსა და მიუნხენში მცხოვრებმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, კარლო ინასარიძემ და მისმა მეუღლემ, თინა პატარიძემ, თბილისს ე.წ. „ვალასის წყარო“, იგივე „ვალასის შადრევანი“ უსახსოვრეს, რომელიც საგანგებოდ, საქართველოსთვის დაამზადებინეს პარიზში, 1989 წელს. დიდი ინგლისელი მეცენატის, სერ რიჩარდ ვალასის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ თხრობით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მან ულამაზესი შადრევნის ათეულობით ეგზემპლარი პარიზსა და პარიზელებს აჩუქა. ამიტომ უწოდებენ, აგრეთვე, „პარიზის შადრევანს“, რომლის ასლები, დღეს, მსოფლიოს დიდ ქალაქებს ამშვენებენ და მათი კულტურული თვითმყოფადობის ნაწილია.

ქართული ემიგრაციის ისტორიაში, კარლო და თინა ინასარიძეების შეტანილ წვლილს აქ არ შევეხებით, არც ქალბატონი თინას მამის – ელისე პატარიძისა და და-ძმის – გულიკოს და ოთარის შესახებ გიამბობთ, ისედაც ცნობილია ამ ოჯახის ღვაწლი. ძნელია იმ რთული და გრძელი გზის გადმოცემაც, რაც შადრევანმა ევროპიდან საქართველომდე გამოიარა და არც იმის აღწერაა ადვილი, თუ რა სიყვარული, ენერგია, სახსრები გაიღეს ინასარიძეებმა, რა ძალისხმევა დასჭირდა გურამ შარაძეს, რათა ძვირფასი საჩუქარი ჯერ თბილისში ჩამოეტანა და შემდგომ, საპატრიარქოსთან მიმდებარე სკვერში, ერეკლეს მოედანზე დაედგა.

სამწუხაროდ, წლებია, რაც შადრევანმა დაკარგა ფუნქცია – წყალი აღარ მიეწოდება, ყოველდღიურად იბილწება ფრინველებისა და მოხეტიალე ადამიანების მიერ, გაძარცულია და მოპარულია გუმბათი. დამეთანხმებით, რომ ეს მდგომარეობა უხერხულია ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც ათეული წლის მანძილზე, უცხოეთის ცის ქვეშ, სამშობლოსათვის იღვწოდა. თავი რომ დავანებოთ, თბილისის შუაგულში მდებარე სკვერის გავერანებულ ყოფას.

2021 წლის 11 თებერვალს, ოფიციალური წერილით მივმართეთ ქალაქ თბილისის მერიასა და პირადად მერს, კახა კალაძეს. ხელმომწერები ვიყავით: ლევან თაქთაქიშვილი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე), რუსუდან კობახიძე (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელი), გიორგი ჯანელიძე (ჟურნალისტი), რუსუდან შარაძე (ფილოლოგი). მეორე დღეს, 12 თებერვალს მოხდა რეაგირება და გამოგზავნეს სპეციალისტი. მალევე მოგვწერეს ოფიციალური წერილიც, რომ საკითხს განიხილავდნენ. კრწანისის რაიონის გამგეობა დღესაც მზად არის, შადრევნის რეაბილიტაციისთვის გაიღოს ყველა რესურსი. თუმცა დგას ერთი პრობლემა – სკვერი არის საპატრიარქოს განკარგულებაში და გაცემულია იჯარით.

მამა ანდრია, უმორჩილესად გთხოვთ, დაინტერესდეთ ამ საკითხით, რათა საბოლოოდ აღდგეს ეს ძვირფასი, თბილისელებისთვის მთელი გულით გაღებული საჩუქარი. ამით მოვიხდით ვალს ბატონი კარლოს სულის წინაშე, ხოლო ქალბატონი თინა, დარწმუნებულები ვართ, სულგრძელად მოგვიტევებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ქუთაისი ისევ დაუმარცხებელია

**ქუთაისი-ცხუმი 97:64**
**(23:19, 26:12, 15:17, 33:16)**

კოტე ტულუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა ცხუმ-აფხაზეთს უმასპინძლა, 97:64 დაამარცხა და, ჯერჯერობით, ერთადერთი წაუგებელი გუნდია.

ცხუმ-აფხაზეთმა კი, ბოლო 5 მატჩიდან უკვე მეოთხე მარცხი განიცადა. იმერეთში ცხუმელებს შანსი არ ჰქონიათ. მეტნაკლებად თანაბარი პირველი პერიოდი სტუმრებმა 19:23 წააგეს, ხოლო მეორე 14 ქულით დათმეს და დიდი შესვენებისთვის ქუთაისელთა უპირატესობამ 17 ქულას მიაღწია. მესამე პერიოდში ცხუმელები ეცადნენ, ვითარება გამოესწორებინათ, მაგრამ მხოლოდ 2 ქულა გააბათილეს და ბოლო ათწუთეულში საბოლოოდ გატყდნენ.

გამარჯვებულ ქუთაისელებს 23 ქულითა და 11 მოხსნით გიორგი კორსანტიამ ულიდერა. 17-17 ქულა ჯარვის რეიმ და ადრიან ბოუიმ მიითვალეს. 10 ქულა და 10 პასი ოთარ ფხაკაძემ მიითვალა, ხოლო აკაკი დვალიშვილმა კიდევ უფრო შთამბეჭდავი ორმაგი დუბლი – 15 ქულა და 14 მოხსნა გაიფორმა. ცხუმ-აფხაზეთში 13-13 ქულით ნიკა ჩეჩელაშვილი და ლევან მასხულია გამოირჩნენ.

**თსუ-მეგა 88:77**
**(35:20, 17:23, 21:19, 15:15)**

თსუ-ს წარმატებული სერია გრძელდება. ლექსო ლაფანაშვილის გუნდმა მიმდინარე სეზონში გამართული მატჩებიდან მხოლოდ ერთი წააგო, ხოლო აქტივში 6 მოგება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმებით იყო შესუსტებული, თსუ-მ მეგასთან გამარჯვება მაინც მოახერხა – 88:77.

პირველი პერიოდი თსუ-მ 35:20 მოიგო და დარჩენილ დროში ამ უპირატესობას ინარჩუნებდა. მეგას მოთამაშეები ცდილობდნენ ჩამორჩენის შემცირებას, რაც პერიოდულად კარგად გამოსდიოდათ, თუმცა საბოლოოდ მაქსიმუმი, რაც შეძლეს, მეტოქესთან 5 ქულით მიახლოება იყო. ეს მოხდა ბოლო პერიოდში, თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე და მეგას თამაშის გადასარჩენად საკმარისი დრო ჰქონდა. აქ კი თავი თსუ-ს ლეგიონერებმა – პაპ დიოპმა, ჯეიმი ჯონსონმა და ლოველ ქაბილმა გამოიჩინეს, რომლებმაც შედეგიანი თამაშით თსუ-ს კვლავ ხელჩასაჭიდი ლიდერობა დაუბევეს და თამაშის ბედიც გადაწყვიტეს.

უნივერსიტეტელთა გამარჯვებაში ლომის წილი 25 ქულისა და 8 პასის მომხვეჭ ლოველ ქაბილს ეკუთვნის. 20 ქულა ჯეიმი ჯონსონმა მიითვალა, ხოლო პაპ დიოპმა და მიხელ ბერიშვილმა 14-14 ქულა მოაგროვეს. მეგაში 22 ქულით, 7 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო ოთარ ბულიავა. 17-17 ქულა ტაილერ კორბინმა და დემონტე ფლანიგანმა მიითვალეს.

**ვერა-ოლიმპი 85:82**
**(26:26, 15:15, 25:9, 19:32)**

ვერას წარმატებული სერია 5 მატჩამდე გაიზარდა. დავით გასიტაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა უშუალო კონკურენტი და სუპერლიგის ერთ-ერთი ფავორიტი ოლიმპი დაამარცხა. ოლიმპელებს აქამდე ერთი მარცხი ჰქონდათ და ისიც თსუ-თან.

ვერელთა წარმატებას მათი დაბალანსებული შემადგენლობა განაპირობებს. გასიტაშვილმა და მისმა ასისტენტებმა შემადგენლობა ისე დააკომპლექტეს, რომ ყველა პოზიციაზე 2-2 კარგი კალათბურთელი ჰყავს, რომლებიც თავის საქმეს აკეთებენ. ყველა რგოლში – წინა თუ უკანა ხაზში, ფარზე თამაშსა თუ შორ სროლებში, სწრაფ გარღვევებსა თუ ფორსირებულ დაცვაში ვერელები ზომიერად კარგები არიან. მათ არ აქვთ გამორჩეულად სუსტი რგოლი, რაშიც მეტოქესთან დაიჩაგრებიან და სწორედ ამის ხარჯზე იგებენ გამორჩეულად ბევრ თამაშს.

თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ ვერელებმა მეტოქეს საშინელი მე-3 პერიოდი მოუწყვეს, რომელიც 25:9 მოუგეს და თამაშის ბედი ფაქტობრივად გადაწყვიტეს. ოლიმპელებმა 16 ქულის გაბათილება მხნედ დაიწყეს და ბოლო წუთზე გივი ბაქრაძის 2 სამქულიანის ხარჯზე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს (82:83), მაგრამ, საბოლოოდ, ვერელებმა 85:82 იმარჯვეს და სუპერლიგის ცხრილში მე-2 ადგილზე გადაინაცვლეს.

გამარჯვებულებს 31 ქულითა და 15 მოხსნით ამერიკელმა ზაკ სელიასმა ულიდერა. 12-12 ქულა თაჩ უნრუჰმა და დარილ ბრაუნმა მიითვალეს. 10-10 ქულა ბორის თორთლაძის და ვახტანგ ქადარიას ანგარიშზეა. ოლიმპში 30 ქულით საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე. 19 ქულა და 10 მოხსნა ლუკა კალატოზიშვილმა დააგროვა.



**რუსთავი-ტიტები 79:88**
**(28:12, 13:28, 23:25, 15:23)**

სუპერლიგის გასული სეზონის ჩემპიონმა, რომელმაც სეზონი უხეიროდ დაიწყო და 2 ლეგიონერი შეცვალა, ზედიზედ მოპოვებული 2 გამარჯვების შემდეგ შინ ერთ-ერთ აუტსაიდერთან და უშუალო კონკურენტთან წააგო. ტიტების საქებრად უნდა ითქვას, რომ მიუხედავად კატასტროფული დასაწყისისა, დღევანდელ მატჩში გამარჯვება მაინც მოახერხეს.

რუსთავში გამართული შეხვედრა მასპინძელთა დიდი უპირატესობით დაიწყო. პირველი პერიოდი ქვემოქართლელებმა 28:12 მოიგეს, ხოლო მალევე უპირატესობა 20 ქულამდე გაზარდეს. ეს ჰგავდა მატჩს, რომელსაც მალე ფიქტიური სახე მიეცემოდა, იმდენად დიდი იყო ერთი გუნდის, ამ შემთხვევაში, მასპინძელი რუსთავის უპირატესობა.

ტიტების მთავარმა მწვრთნელმა, ბესო ლეჟავამ წუთშესვენება აიღო და მოედანზე დაბრუნებული მისი შეგირდები ზეშედეგიანად ათამაშდნენ. ტიტებმა ჩამორჩენის გაბათილება იწყო და 20 ქულა დიდ შესვენებამდე ხომ გააბათილა, დაწინაურდა კიდეც. თუმცა ბოლო წამზე კრისტიან კილინგმა ორქულიანი ჩააგდო და დიდ შესვენებაზე რუსთაველები ერთქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 41:40.

მესამე პერიოდიდან თანაბარი თამაში წავიდა. ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა, ხან – მეორე. ასე თანაბრად მივიდა თამაში ბოლო წუთებამდე, სადაც ყველაფერი ტიტების შეუპოვრობამ გადაწყვიტა. კარგი დაცვის ფონზე ლეჟავას გუნდის წევრები შეტევაშიც ჩინებულად ირჯებოდნენ და ბოლო წუთზე 6-ქულიან ლიდერობას რომ მიაღწიეს, თამაშის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს.

გამარჯვებულთაგან შეუჩერებელი იყო ჯავიონ ოგუნიემი, რომელმაც 31 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა. 18 ქულა ჯორდან რობერტსონის ანგარიშზეა, ისააკ ასრატმა კი ორმაგი დუბლი – 17 ქულა და 12 პასი მიითვალა. რუსთაველთაგან 22 ქულითა და 7 მოხსნით იშმაელ ჰოლისი გამოირჩა. 19 ქულა და 10 პასი კრისტიან კილინგის ანგარიშზეა.

**ბათუმი-კაკტუსი 83:73**
**(20:15, 20:20, 25:18, 18:20)**

ზღვისპირელებმა კაკტუსს უმასპინძლეს და 83:73 იმარჯვეს. მასპინძლები ლიდერობას თავიდანვე დაეპატრონნენ, მაგრამ ხელჩასაჭიდ უპირატესობას ვერ ეუფლებოდნენ. კაკტუსი მეტოქეს ფეხდაფეხ მისდევდა და წარმატების შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა, თუმცა მასპინძლებმა ბოლომდე გონივრულად ითამაშეს და ლიდერობა მატჩის დასრულებამდე შეინარჩუნეს.

გამარჯვებულებს 25 ქულითა და 11 მოხსნით აიზეა ტრეილორმა ულიდერა. 15 ქულა და 17 მოხსნა სოსო გოგნაძის ანგარიშზე დაგროვდა. ბექა ბექაურმა შეხვედრა 21 ქულით დაასრულა. კაკტუსში 29 ქულით საუკეთესო იყო ჯორდან ფორბსი. 13 ქულა ლაშა მიქელაძის ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 7 | 7 | 0 | 663-532 | 14 |
| 2.ვერა | 8 | 6 | 2 | 672-693 | 14 |
| 3.თსუ | 7 | 6 | 1 | 598-541 | 13 |
| 4.ოლიმპი | 7 | 5 | 2 | 569-520 | 12 |
| 5.ბათუმი | 7 | 3 | 4 | 596-577 | 10 |
| 6.ტიტები | 7 | 3 | 4 | 558-540 | 10 |
| 7.ცხუმი | 7 | 3 | 4 | 560-584 | 10 |
| 8.მეგა | 8 | 2 | 6 | 608-672 | 10 |
| 9.კაკტუსი | 8 | 2 | 6 | 608-649 | 10 |
| 10.რუსთავი | 7 | 2 | 5 | 554-600 | 9 |
| 11.დინამო | 7 | 1 | 6 | 577-655 | 8 |

## რევაზ დავითაძემ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი მოიპოვა

ტაშკენტში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქართულმა დელეგაციამ მორიგი მედლები მოიპოვა. 98 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში რევაზ დავითაძემ ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი მოიპოვა.

აკვრაში დავითაძემ 171 კილოგრამი დაძლია და ვერცხლის მედალი ირგუნა. პირველზე სომეხი ანდრანიკ კარაპეტიანი (175) გავიდა. ხოლო მესამე ადგილზე სამხრეთკორეელი დონგჯუ იუ (167).

აკვრაში დავითაძემ პირველ მისვლაზე 195 კილოგრამი დაძლია. თუმცა, ჩვენებურს ბრძოლაში უმთავრესი კონკურენტი კარაპეტიანი ჩამოშორდა, რომელმაც სერიოზული ტრავმა მიიღო და 196 კილოგრამი სამ მისვლაზე ვერ ასწია. დავითაძემ საბოლოოდ 199 კილოგრამი ასწია, მაგრამ ეს მაჩვენებელი აკვრაში მხოლოდ მეშვიდე იყო. ჯამში კი, 370 კილოგრამით ჩვენებურს ბრინჯაოს მედალი ერგო.

ჩემპიონი იუ გახდა, ხოლო მეორე ადგილზე უზბეკი სარვარბეკ ზაფარჯონოვი გავიდა. ორივე მათგანმა ჩვენებურზე ერთი კილოგრამით მეტი დააფიქსირა. რადგან კორეელმა ეს უფრო ადრე მოახერხა, ჩემპიონობაც მას ერგო.

# შედეგები

**12 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-ვესტ ჰემი ........ 0:0
ლესტერი-ნიუკასლი ........ 4:0
კრ.პალასი-ევერტონი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 16 | 12 | 2 | 2 | 33-9 | 38 |
| 2.ლივერპული | 16 | 11 | 4 | 1 | 45-12 | 37 |
| 3.ჩელსი | 16 | 11 | 3 | 2 | 38-11 | 36 |
| 4.ვესტ ჰემი | 16 | 8 | 4 | 4 | 28-19 | 28 |
| 5.მანჩესტერი | 16 | 8 | 3 | 5 | 26-24 | 27 |
| 6.არსენალი | 16 | 8 | 2 | 6 | 21-22 | 26 |
| 7.ტოტენჰემი | 14 | 8 | 1 | 5 | 16-17 | 25 |
| 8.ლესტერი | 16 | 6 | 4 | 6 | 27-27 | 22 |
| 9.ვულვზი | 16 | 6 | 3 | 7 | 12-14 | 21 |
| 10.ბრენტფორდი | 16 | 5 | 5 | 6 | 21-22 | 20 |
| 11.ბრაიტონი | 15 | 4 | 8 | 3 | 14-16 | 20 |
| 12.ასტონ ვილა | 16 | 6 | 1 | 9 | 21-25 | 19 |
| 13.ევერტონი | 16 | 5 | 3 | 8 | 20-28 | 18 |
| 14.კრ.პალასი | 16 | 4 | 7 | 5 | 22-22 | 19 |
| 15.ლიდსი | 16 | 3 | 7 | 6 | 17-25 | 16 |
| 16.საუთჰემპტონი | 16 | 3 | 7 | 6 | 14-24 | 16 |
| 17.უოტფორდი | 16 | 4 | 1 | 11 | 21-31 | 13 |
| 18.ბარნლი | 15 | 1 | 8 | 6 | 14-21 | 11 |
| 19.ნიუკასლი | 16 | 1 | 7 | 8 | 17-34 | 10 |
| 20.ნორვიჩი | 16 | 2 | 4 | 10 | 8-32 | 10 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფიურტი-უნიონი ........ 1:0
აინტრახტი-ლევერკუზენი ........ 5:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 15 | 12 | 1 | 2 | 47-16 | 37 |
| 2.დორტმუნდი | 15 | 10 | 1 | 4 | 36-23 | 31 |
| 3.ლევერკუზენი | 15 | 8 | 3 | 4 | 37-24 | 27 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 15 | 8 | 2 | 5 | 32-23 | 26 |
| 5.ფრაიბურგი | 15 | 7 | 4 | 4 | 26-15 | 25 |
| 6.უნიონი | 15 | 6 | 5 | 3 | 22-21 | 23 |
| 7.ლაიფციგი | 15 | 6 | 3 | 6 | 29-19 | 21 |
| 8.მაინცი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-16 | 21 |
| 9.აინტრახტი | 15 | 5 | 6 | 4 | 23-22 | 21 |
| 10.ბოხუმი | 15 | 6 | 2 | 7 | 16-23 | 20 |
| 11.ვოლფსბურგი | 15 | 6 | 2 | 7 | 15-22 | 20 |
| 12.კიოლნი | 15 | 4 | 7 | 4 | 23-25 | 19 |
| 13.გლადბახი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-28 | 18 |
| 14.ჰერტა | 15 | 5 | 3 | 7 | 17-29 | 18 |
| 15.შტუტგარტი | 15 | 4 | 5 | 6 | 22-25 | 17 |
| 16.აუგსბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-25 | 16 |
| 17.არმინია | 15 | 1 | 7 | 7 | 10-22 | 10 |
| 18.ფიურტი | 15 | 1 | 1 | 13 | 13-46 | 4 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ჰანზა ........ 3:0
კარლსრუე-ჰაიდენჰაიმი ........ 3:2
აუე-დინამო ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-რაიო ........ 2:0
ოსასუნა-ბარსელონა ........ 2:2
ბეტისი-სოსიედადი ........ 4:0
რეალი-ატლეტიკო ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 17 | 13 | 3 | 1 | 39-15 | 42 |
| 2.სევილია | 16 | 10 | 4 | 2 | 26-11 | 34 |
| 3.ბეტისი | 17 | 10 | 3 | 4 | 30-18 | 33 |
| 4.ატლეტიკო | 16 | 8 | 5 | 3 | 27-18 | 29 |
| 5.სოსიედადი | 17 | 8 | 5 | 4 | 19-17 | 29 |
| 6.რაიო | 17 | 8 | 3 | 6 | 24-18 | 27 |
| 7.ვალენსია | 17 | 6 | 7 | 4 | 26-23 | 25 |
| 8.ბარსელონა | 16 | 6 | 6 | 4 | 25-19 | 24 |
| 9.ესპანიოლი | 17 | 6 | 5 | 6 | 19-18 | 23 |
| 10.ოსასუნა | 17 | 5 | 7 | 5 | 17-21 | 22 |
| 11.ბილბაო | 17 | 4 | 9 | 4 | 13-12 | 21 |
| 12.მალიორკა | 17 | 4 | 8 | 5 | 16-23 | 20 |
| 13.ვილიარეალი | 16 | 4 | 7 | 5 | 18-17 | 19 |
| 14.სელტა | 17 | 4 | 5 | 8 | 17-21 | 17 |
| 15.გრანადა | 15 | 3 | 6 | 6 | 16-23 | 15 |
| 16.ელჩე | 17 | 3 | 6 | 8 | 16-24 | 15 |
| 17.ალავესი | 16 | 4 | 3 | 9 | 13-22 | 15 |
| 18.ხეტაფე | 17 | 2 | 6 | 9 | 11-20 | 12 |
| 19.კადისი | 16 | 2 | 6 | 8 | 14-30 | 12 |
| 20.ლევანტე | 17 | 0 | 8 | 9 | 16-32 | 8 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეგანესი-პონფერადინა ........ 1:1
ვალიადოლიდი-ოვიედო ........ 2:1
ალკორკონი-კარტახენა ........ 1:1
ამორებიეტა-ლას პალმასი ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ბოლონია ........ 2:1
ვერონა-ატალანტა ........ 1:2
ნაპოლი-ემპოლი ........ 0:1
სასუოლო-ლაციო ........ 2:1
ინტერი-კალიარი ........ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 17 | 12 | 3 | 2 | 36-19 | 39 |
| 2.ინტერი | 17 | 12 | 4 | 1 | 43-15 | 40 |
| 3.ნაპოლი | 17 | 11 | 3 | 3 | 34-13 | 36 |
| 4.ატალანტა | 17 | 11 | 4 | 2 | 37-20 | 37 |
| 5.ფიორენტინა | 17 | 10 | 0 | 7 | 31-22 | 30 |
| 6.იუვენტუსი | 17 | 8 | 4 | 5 | 23-17 | 28 |
| 7.ემპოლი | 17 | 8 | 2 | 7 | 27-29 | 26 |
| 8.ლაციო | 17 | 7 | 4 | 6 | 33-32 | 25 |
| 9.რომა | 16 | 8 | 1 | 7 | 24-19 | 25 |
| 10.ბოლონია | 17 | 7 | 3 | 7 | 24-29 | 24 |
| 11.ვერონა | 17 | 6 | 5 | 6 | 33-30 | 23 |
| 12.სასუოლო | 17 | 6 | 5 | 6 | 28-26 | 23 |
| 13.ტორინო | 17 | 6 | 4 | 7 | 22-18 | 22 |
| 14.სამპდორია | 17 | 5 | 3 | 9 | 25-33 | 18 |
| 15.უდინეზე | 17 | 3 | 8 | 6 | 22-28 | 17 |
| 16.ვენეცია | 17 | 4 | 4 | 9 | 16-30 | 16 |
| 17.სპეცია | 16 | 3 | 3 | 10 | 17-36 | 12 |
| 18.ჯენოა | 17 | 1 | 7 | 9 | 18-34 | 10 |
| 19.კალიარი | 17 | 1 | 7 | 9 | 17-34 | 10 |
| 20.სალერნიტანა | 17 | 2 | 2 | 13 | 11-37 | 8 |

**იტალია. სერია ბ**

პარმა-პერუჯა ........ 1:1
ვიჩენცა-კომო ........ 0:1
რეჯინა-ალესანდრია ........ 0:4

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლილი-ლიონი ........ 0:0
ანჟე-კლერმონი ........ 0:1
მეცი-ლორიანი ........ 4:1
რენი-ნიცა ........ 1:2
ტრუა-ბორდო ........ 1:2
სტრასბურგი-მარსელი ........ 0:2
პსჟ-მონაკო ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 18 | 14 | 3 | 1 | 38-16 | 45 |
| 2.მარსელი | 17 | 9 | 5 | 3 | 25-14 | 32 |
| 3.რენი | 18 | 9 | 4 | 5 | 33-16 | 31 |
| 4.ნიცა | 18 | 9 | 4 | 5 | 27-16 | 30 |
| 5.მონპელიე | 18 | 8 | 4 | 6 | 29-23 | 28 |
| 6.ლანსი | 18 | 7 | 6 | 5 | 32-26 | 27 |
| 7.სტრასბური | 18 | 7 | 5 | 6 | 34-24 | 26 |
| 8.მონაკო | 18 | 7 | 5 | 6 | 27-22 | 26 |
| 9.ანჟე | 18 | 6 | 7 | 5 | 25-23 | 25 |
| 10.ნანტი | 18 | 7 | 4 | 7 | 24-23 | 25 |
| 11.ლილი | 18 | 6 | 7 | 5 | 23-24 | 25 |
| 12.ლიონი | 17 | 6 | 6 | 5 | 25-25 | 24 |
| 13.ბრესტი | 18 | 6 | 6 | 6 | 25-27 | 24 |
| 14.რეიმსი | 18 | 5 | 7 | 6 | 21-21 | 22 |
| 15.ბორდო | 18 | 3 | 8 | 7 | 28-40 | 17 |
| 16.კლერმონი | 18 | 4 | 5 | 9 | 20-32 | 17 |
| 17.ტრუა | 18 | 4 | 4 | 10 | 17-27 | 16 |
| 18.მეცი | 18 | 3 | 6 | 9 | 22-38 | 15 |
| 19.ლორიანი | 18 | 3 | 6 | 9 | 14-30 | 15 |
| 20.სტ.ეტიენი | 18 | 2 | 6 | 10 | 17-39 | 12 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ტვენტე-ვალვაიკი ........ 2:1
ვიტესი-ერაკლესი ........ 2:1
გრონინგენი-ფეიენოორდი ........ 1:1
აიაქსი-ალკმაარი ........ 1:2
ნაიმეგენი-პსვ ........ 1:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-ეშტორილი ........ 0:1
მორეირენშე-პორტიმონენშე ........ 0:1
ფამილიკაო-ბენფიკა ........ 1:4
პორტუ-ბრაგა ........ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-ზენიტი ........ 1:1
ახმატი-ხიმკი ........ 4:1
კრასნოდარი-ნ.ნოვგოროდი ........ 0:0
ლოკომოტივი-უფა ........ 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-სტანდარდი ........ 2:3
სემ ჟილუა-მეხელენი ........ 2:0
გენტი-გენკი ........ 1:0
ბრიუგე-ვარეგემი ........ 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-რაპიდი ........ 1:2
აუსტრია-შტურმი ........ 0:3
აუსტრია-ლინცერი ........ 2:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-რეინჯერსი ........ 0:2
სელტიკი-მოზერველი ........ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ადანა-გირესუნი ........ 1:0
ამალათია-ალანია ........ 2:6
ბეშიქთაში-ქაისერი ........ 4:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-ლამია ........ 2:1
ლამიას გოლი ბაჩანა არაბულმა გაიტანა
ოლიმპიაკოსი-არისი ........ 1:0

**ჩეხეთი.1 ლიგა**

ჩესკე0სიგმა ........ 2:1
სლავია-ბოლესლავი ........ 2:0
იაბლონეცი-ტეპლიცე ........ 0:2
სპარტა-ბოჰემიანსი 1905 5:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-სიონი ........ 4:3
გრასჰოპერსი-ლუცერნი ........ 1:1
სერვეტი-ბაზელი ........ 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-ლენჩნა ........ 0:2
პლოცკი-ლეგია ........ 1:0
გურნიკი-პოგონი ........ 2:2

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

უიპეშტი-პაკში ........ 4:3
უიპეშტის პირველი და მე-3 გოლი გიორგი ბერიძემ გაიტანა
დებრეცენი-ფერენცვაროში ........ 2:0
მეზეკოვეშდი-კიშვარდა ........ 0:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჩერნომორეცი-მეტალისტი ........ 2:1
დინამო-ზორია ........ 1:1
კოლოსი-მინაი ........ 2:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 3. ხულიგნის, ქურდის, ბანდიტის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში; 5. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 6. რაიმე საქმის წინასწარ განზრახვით დაზიანება, ჩაშლა; 9. ქართველი ექიმი, დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი; 10. გერმანული ავიაკომპანია; 11. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული სამეფო; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 16. კრემისგულიანი ნამცხვარი; 18. ფრანგი მეზღაპრე.

**თარაზულად:** 1. სათბურში გამოყვანილი ნერგი; 4. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 7. ქართველი მოგზაური გინესის რეკორდსმენი; 8. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ბრაზილიელი მწერალი; 13. მეტროს სადგური თბილისში; 15. საგაზეთო პუბლიკაცია; 17. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 19. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სამურაბე ლამბაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხონთქარი; 2. ფერხისა; 3. სტუკო; 4. ლიგნიტი; 5. თამბაქო; 10. პასკვილი; 11. ეფრემვერდი; 12. ლიკეუმი; 15. პარტიტურა; 16. სკეტჩი; 17. ბურნაკუ; 20. ალუჩა.

**თარაზულად:** 6. კონცენტრატი; 7. ზინდანი; 8. ბრონქსი; 9. რამოსი; 13. მოლა; 14. აფონია; 18. დეპორტივო; 19. ბურჟე; 21. ფლეში; 22. ფიორდი; 23. კუსტურიცა; 24. ასათიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პინო; 2. პუარო; 3. ოპეკი; 5. ხუცური; 6. თეოლოგი; 9. უსახელაური; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. კია; 16. სესილი; 18. კიტო.

**თარაზულად:** 1. პომპეო; 4. აფხაზეთი; 7. ჩაფიძე; 8. კონფუცი; 12. კაფია; 13. სკლერა; 15. საღამო; 17. პაი; 19. ლეიკოციტები; 21. ბონუსი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1002

ევრო — 3.4924

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1068

100 რუსული რუბლი — 4.2234

## ამინდის პროგნოზი 14 დეკემბრისათვის






## წავები მამაკაცს თავს დაესხნენ და დაკბინეს

სინგაპურში ათეულობით წავი თავს დაესხა ბრიტანელ მამაკაცს, მიწაზე წააქცია და სერიოზულად დაკბინა.

აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ბრიტანელი გრემ ჯორჯ სპენსერი ბოტანიკურ ბაღში სეირნობდა. მან დაახლოებით 20-მდე წავი შენიშნა, რომლებიც გზაზე მის წინ გადადიოდნენ. მისი თქმით, ისინი მშვიდად იქცეოდნენ მანამ, სანამ მათ გვერდით არ ჩაურბინა პარკის სხვა დამთვალიერებელმა. გაბრაზებული წავები მორბენალს ვერ დაეწივნენ და მის ნაცვლად იქვე ახლოს მდგომ სპენსერს დაესხნენ თავს.

ცხოველები მამაკაცს გარს შემოეხვივნენ და ფეხებსა და დუნდულებზე კბენა დაუწყეს. ბრიტანელის მტკიცებით, 10 წამში ცხოველებმა მას 26-ჯერ უკბინეს.

— უკვე სერიოზულად ვფიქრობდი, რომ დავიღუპებოდი, — იხსენებს ბრიტანელი, — მათ ჩემი მოკვლა სურდათ.

სპენსერი გადაარჩინა მეგობარმა, რომელიც უკან მოჰყვებოდა და წავების ყვირილით გაფანტვა მოახერხა. ამის შემდეგ ორივემ დატოვა შემთხვევის ადგილი და თავი სასტუმრო ცენტრს შეაფარეს, ვინაიდან ცხოველებმა თავი არ დაანებეს და გაეკიდნენ.

სასტუმრო ცენტრის თანამშრომლებმა სპენსერს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, მოგვიანებით კი მამაკაცმა საავადმყოფოს მიაკითხა, სადაც მას ცოფის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთეს და ანტიბიოტიკები დაუნიშნეს.

## ხარბი პელიკანი მეტისმეტად დიდმა თევზმა კინაღამ დაახრჩო



ფლორიდის ბუნებრივ ნაკრძალში პელიკანი შეეცადა, მეტისმეტად დიდი თევზი გადაეყლაპა და გაგუდვას ვეტერინარებმა გადაარჩინეს.

პელიკანი გარეული ცხოველების დახმარების ცენტრში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მან მეტისმეტად დიდი თევზი დაიჭირა. მშიერმა ფრინველმა ნანადირევის ზომა არაფრად ჩააგდო და მისი გადაყლაპვა ცადა, მაგრამ ვერც ბოლომდე გადაყლაპვა და ვერც უკან ამონთხევა ვერ მოახერხა, თევზი ყელში გაეჩხირა.

ამის გამო ფრინველს სუნთქვა შეეკრა და იხრჩობოდა, მაგრამ მას ვეტერინარები დაეხმარნენ, თევზი ამოაცალეს და დაღუპვას გადაარჩინეს. ამ დროისთვის ფრინველი გამომჯობინების გზაზეა და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.



## ქალს დის დაბადების დღემ მოგება მოუტანა

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ჯარეტსვილის მცხოვრებმა ქალმა საკუთარი დის დაბადების დღეს მომენტალური ლატარიის ბილეთი შეარჩია, რომელზეც ასევე დაბადების დღის თარიღი იყო მითითებული და გამდიდრდა.

ქალის თქმით, მან დის დაბადების დღეს გადაწყვიტა, ლატარიის ბილეთი შეეძინა, რომელიც ავტოგასამართ სადგურზე დადგმულ ავტომატში იყიდებოდა. ქალმა შეარჩია ბილეთი ნომრით 26, დის დაბადების დღის პატივსაცემად.

შედეგად ბილეთმა ქალს 50 ათასი დოლარის მოგება მოუტანა. ქალი აპირებს, მოგებული თანხა ოჯახის წევრებს გაუნაწილოს, ნაწილით კი ოკეანის სანაპიროზე დაისვენოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

თვითმფრინავში მოხუცი მგზავრი ბორტგამცილებელ გოგონას თავისთან იხმობს და ეუბნება:

— შვილო, კარი გამიღე, უნდა ჩავიდე.

— რას ამბობთ? 7000 მეტრის სიმაღლეზე ვართ!

— გამიღე, სახლში მივდივარ, აქვე ახლოს ვცხოვრობ.

გაოგნებული გოგონა პილოტთან მიირბენს და ეუბნება:

— იქ ვიღაც არა ნორმალური კარის გაღებას და ჩასვლას ითხოვს!

პილოტმა გამოხედა კაბინიდან და გოგონას ეუბნება:

— გაუღე, გაუღე. ეგ სულ ყოველთვის აქ ჩადის!

•••

კაცი მღვდელს ეკითხება:

— მამაო, მარხვაში ქალი შეიძლება?

— შეიძლება, შვილო ჩემო, მხოლოდ მსუქანი არ უნდა იყოს.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

— გუშინ სად იყავი?

— მეგობართან ვიყავი სტუმრად, მთელი ღამე ჭადრაკს ვთამაშობდით.

— ვინ ვის?

— არავინ არავის! ხომ გითხარი, ჭადრაკს ვთამაშობდით.

•••

ერთი ქალი მეორეს შესჩივის:

— ჩემი ქმარი სრულიად უნიათო გახდა.

— შენც ადექი და ძაღლის შამპუნით აბანავე.

— მართლა შველის?

— ჩემი დავბანე და ისეთი გახდა, კინაღამ დამგლიჯა.

ორი დღის შემდეგ ქალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი მეორეს ეუბნება:

— ეს რა მირჩიე!

— რა მოხდა?

— რა და ბანაობის შემდეგ სახლში მთელი ძეხვეული გადაჭამა, მერე უკანალზე მიკბინა და მეზობელ ძუკნასთან გავარდა!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— აი, უკვე გეტყობა, რომ ცოლიანი ხარ! მშვენივრად დაუთოებული პერანგი გაცვია.

— ჰო, ეგ პირველი იყო, რისი გაკეთებაც ცოლმა მასწავლა.

•••

ტელეფონი რეკს. კაცი ყურმილს იღებს და ესმის:

— ალო, ეს ფსიქიატრიულია?

— არა, ბინაა! თუმცა, იცით რა, შემიძლია ჩემ ცოლს ან სიდედრს დაგალაპარაკოთ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საქართველოს დელეგაცია საბავშვო ევროვიზიაზე გაემგზავრა




საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს დელეგაცია უკვე გაემგზავრა. წელს ჩვენს ქვეყანას ამ კონკურსზე „რანინას“ გამარჯვებული ნიკოლოზ ქაჯაია წარადგენს. ის გიგა კუხიანიძის სიმღერას შეასრულებს. ნიკოლოზ ქაჯაია საბავშვო ევროვიზიის სცენაზე 19 დეკემბერს წარდგება. ქართველი მომღერალი პირველ რეპეტიციას 14 დეკემბერს გაივლის. 17 დეკემბერს, საღამოს 11 საათიდან ონლაინ ხმის მიცემა ევროვიზიის ოფიციალურ ვებ გვერდზე დაიწყება. წლევანდელ საბავშვო ევროვიზიას საფრანგეთის დედაქალაქი — პარიზი მასპინძლობს. კონკურსში 19 ქვეყნის წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას.

## ერეკლე დეისაძემ ახალი კლიპი გადაიღო



„ცეცხლი უკიდია ყველაფერს“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომელზეც ერეკლე დეისაძემ ვიდეორგოლი გადაიღო.

სიმღერა ხელოვანის უახლესი ალბომიდან „ამ ენით ამენ“ არის. ალბომი 25 დეკემბრიდან ყველა მუსიკალურ პლატფორმაზე გამოჩნდება.

ერეკლე დეისაძემ სიმღერის ტექსტში საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალურ თემაზე გააკეთა აქცენტი და ათასობით მსმენელის მოწონებაც დაიმსახურა. როგორც ერეკლეს გულშემატკივრები აღნიშნავენ, ხელოვანი ყოველთვის აქტუალურ თემებს ეხება და კონკრეტული ადრესატიც ჰყავს.

## თათია კობალაძე ყაზახური „ვოისიდან“ გაუშვეს




მომღერალი თათია კობალაძე ყაზახური „ვოისიდან“ გაუშვეს. ქართველმა მომღერალმა ყველა ტური წარმატებით გადალახა და ფინალამდე სულ ცოტა დააკლდა. თათიამ ყაზახურ ვოისში ალექსანდრე ბასილაიას „არგო“ იმღერა და მწვრთნელებისა და დამსწრე მსმენელის მოწონებაც დაიმსახურა, თუმცა შემდეგ ტურს მიღმა დარჩა.

როგორც ქართველმა მომღერალმა განაცხადა, მისი მწვრთნელი ამ გადაწყვეტილებას ნანობს და აღიარებს, რომ შეცდომა დაუშვა.

**თათია კობალაძე:**

— მენტორი ისე ხომ გეუბნება ტირილით, რომ ეს არ იყო მისი გადაწყვეტილება და მერე კიდევ გწერს! ნანობს და ჩემი მთავარი გამარჯვება ყაზახი ხალხის მხარდაჭერაა, რომლებმაც ჩემი ნიჭიერება დაინახეს, ხოდა, მთავარი მენტორის აღიარებაა! პატივს ვცემ მას, როგორც ადამიანს და ძალიან მიყვარს მართლა!

ჩემი ვარსკვლავი ისევ განათდება და თან ძალიან მალე! უხ, მაინც მოვიგებ სადაც არ უნდა იყოს, მაინც მოვიგებ! და ავაფრიალებ საქართველოს დროშას სიამაყით!

ამ დრომდე ჩემი ბრძოლით, დაუღალავი შრომით მოვდივარ და შემდეგშიც ასე იქნება, არასოდეს დავნებდები!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მამაკაცი აცრაზე თავის ასარიდებლად ხეზე აძვრა და ჩამოსვლაზე უარი განაცხადა



ინდოეთის ტელენაგანას შტატის მცხოვრები ვაქცინაციის მოწინააღმდეგე მამაკაცი ხეზე აძვრა, რათა კოვიდ-19 ვაქცინის გაკეთებისთვის თავი აერიდებინა და ხიდან ჩამოსვლაზე უარი განაცხადა.

ტელენაგანას შტატის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის თანამშრომლები კარდაკარ შემოვლას ახორციელებენ იმაში დასარწმუნებლად, შტატის მცხოვრებლები კორონავირუსზე აცრილები იყვნენ თუ არა.

როდესაც ექიმები სოფელ ნაიოკას მცხოვრები 33 წლის გუსუდინის სახლთან მივიდნენ, მან აცრის გაკეთებაზე უარი განაცხადა. მიუხედავად მამის სარდარ ალის ოჯახის დანარჩენი წევრების თხოვნისა, რომ აცრა გაეკეთებინა, მათ თხოვნას ყური არ ათხოვა, სახლიდან გამოვარდა და ხეზე აძვრა. თვითმხილველთა თქმით, მამაკაცმა ხეზე ერთი საათი გაატარა და იქიდან მხოლოდ ექიმების წასვლის შემდეგ ჩამოვიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 14 დეკემბრისათვის

**ვერძი** — ცდუნების ალბათობა იზრდება. თავი შეიკავეთ საქმის გარჩევებისაგან. კრიტიკული დღეა. **კურო** — თქვენი ენერგიულობა გადამდებია. ასე განაგრძეთ, ოღონდ ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ. **ტყუპები** — მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **კირჩხიბი** — იღბლიანი დღეა. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც შეგიძლიათ. საღამოს დაისვენეთ და პირად ცხოვრებას მიხედეთ. **ლომი** — ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. მთავარია მოთმინება. **ქალწული** — გარშემომყოფებს სიყვარულით მოეპყარით. საპასუხოდ სიყვარულსა და თანადგომას მიიღებთ. **სასწორი** — კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **ღრიანკალი** — კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო იდეებს გთავაზობენ. **თხის რქა** — წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით. **მერწყული** — ფინანსური კრიზისი არ გემუქრებათ. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **თევზები** — თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 2. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 3. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 4. ვეტექიმის ძველი სახელწოდება; 5. სოფელი საჩხერის რაიონში; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 11. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 12. ქიმიური ელემენტი, მსუბუქი ლითონი; 15. უბანი თბილისში; 16. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 17. თვითმფრინავის ტრაექტორია დაშვებისას; 20. ყოველკვირეული ჟურნალი საქართველოში.

**თარაზულად:** 6. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 8. სიკო დოლიძის კინოკომედია; 9. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. სახელმწიფო ჰიმალაებში; 18. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 21. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად; 22. მოგონილი, შეთხზული რამ; 23. ქუჩაში მოწყობილი ბანკის სალარო-ავტომატი; 24. ამერიკული წარმოების ინდივიდუალური რეაქტიული ჭურვი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

